



№ 2 კვირა, 7 იანვარი, 1901 წ.

საპირიანო გაზეთი

კვირა, 7 იანვარი, 1901 წ. № 2

გაზეთის ფასა: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. 50 კაპ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, საპიერნის ქუჩა, № 15. ტელეფონი № 734. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ГВАЛИ.“

შინაარსი: გასული წელი ევროპაში ნ. ჯორდანიასი.—შინაური მიმოხილვა.—სხვა და სხვა ამბავი.—კორესპონდენტები.—რუსეთი XIX საუკუნეში Nord-სა.—1900 წ. სიტყვა-კაზმული მწერლობა ი. გომართლასა.—ახალ წელს კატო მიქელაძისა.—მე-XIX საუკუნე და ადგილობრივი გაზეთები.—კ. დ. უშინსკი ი. გ.—სა.—ვუძღვნი №-ს ი. ევლოშვილისა.—„ნაბღრტელა“ რიგო-ლეტოსი.—ჩვენი სახიობა.—ინტელიგენტი ცხვირი ი. ევლოშვილი-სა.—1901 წ. სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვა და განცხადებები.

გაზეთ „კვალი“ს და ჟურნალ „ჯეჯილის“ ხელის მომწერთა სუენადდებთ გაცხადებთ, რომ ამ გამოცემებზე ხელის-მოწერა მიიღება ცალ ცალკე თავ თავის რედაქციებში.

## გასული წელი ევროპაში.

ისტორიას ერთობ ძალიან უყვარს უეცარი და სრულიად მოულოდნელი ამბები. ის თავისი დაუდგროზლობით და გატაცებით ხშირათ ამტერებს ხოლმე საზოგადოებას. და აი სწორეთ ასეთი გასაშტერებელი ამბავი მოუვლინა მან მე-XIX საუკუნის ბოლოს ევროპას და მასთან მთელ კაცობრიობას. ეს საკვირველება გახლავთ გასული წელი, წელი ათას ცხრაასი. დიახ, ისტორიამ სასაცილოთ აიღო ევროპა, ეს ცივილიზაციის უდიდესი მებაირახტრე. მთელი საუკუნის განუწყვეტელი შრომა განაილებების და გრძნობის გასპეტაკებისათვის დასრულდა ომებით და სისხლის ღვრით! ომი აფრიკაში, ომი ჩინეთში, ომი ფილიპინის კუნძულებზე! თავისუფლების მოტრფიანე ინგლისელი თავისუფლებას უსპობს ბურებს! განათლებასე შალა-მყვირალი ევროპიელი ბარბაროსული საშუალებებით ამშვიდებს ჩინელებს! თანასწორობის მქადაგებელი ამერიკელი ძალათ იმორჩილებს ფილიპინელებს! და ყველა ეს ხდება მეცხრამეტე საუკუნის დამლევს და მეოცის დასაწყისში! მეთვრამეტე საუკუნის გასულს ევროპის მოწინავე ჯრმა ქვეყანას აუწყა: ომი მტარვალთ და მშვიდობა ხაღბთათ. ხოლო მეცხრამეტე საუკუნის გასულს მთელი ევროპა იძახის: ომი ხაღბთ და მშვიდობა მტარვალთათ! რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ევროპამ იმითომ იცხოვრა ეს ასი წელიწადი, რომ ბარბაროსობაში ჩაფლულიყო? გასულმა წელმა ასეთი თაიგულით შეამკო ევროპის ცივილიზაცია, ასეთი ექვი აღძრა მის ცხოველ-მოყოფელობაში და, ასე გასინჯეთ, ბევრს, ძალიან ბევრ არა-ევროპიელს ათქმევინა: ევროპამ ნოქამა თავისი დრო, ის გაიხრწნა და სამარეში ეშვებოა. და მერე ეს ასეა? კულტურა მართლა ასე მავნებელი და

წარმავალია? აქ რაღაც გაუგებრობაა, გასულმა წელმა რაღაც დიდი ამოცანა აღმოაცენა და საქიროა მისი გაგება.

უეჭველი ფაქტია ის, რომ მოწინავე ერთ სამხედრო გრძნობა აღეძრათ, ჯარები და ყაზარმები მრავლდება, ომიანობა და ადამიანთა სისხლის ნთხევა ქვეყნის ყველა კუთხეში ხდება. მაგრამ ეს განა ევროპიული კულტურის უარის ყოფაა? არა, ის არის უარის ყოფა არა ევროპიული კულტურის საზოგადოათ, არამედ ერთის მისი გაბატონებული კლასის—კერძოთ. დღეს ყველამ იცის, რომ ერის ცხოვრებაში ამა თუ იმ ხანას ერთი რომელიმე კლასი მეთაურობს და ის აწყობს ყოველივეს თანახმათ მისი მოახოვნელებისა და შეხედულობებისა. თუ ამ მხრით გავსინჯავთ წარსულ წელს, დავინახავთ, რომ ის არავითარ სიუბრიზს არ წარმოადგენს ევროპისათვის, პირ იქით, ის არის ლოდიკური გაგრძელება წინა წლებისა და ამ რიგათ მეოცე საუკუნის დასაწყისი არის პირდაპირი დასკვნა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისა.

1800-სში ევროპის ახალ აღორძინებული ბურჟუაზია ებრძოდა მაშინდელ ძველ ფეოდალურ წყობას და ამიტომ უდიდეს რევოლიუციურ ძალას წარმოადგენდა. 1900-ში კი ის, როგორც გაბატონებული და გაღონიერებული, მხოლოთ იმის მეცადინეობაშია, რომ, რაც შეიძლება, მეტი ქონება შეიძინოს და მით კიდევ უფრო გაბატონდეს. ცხადია, წინანდელი ოპოზიცია გადაიქცა დღევანდელ ბატონათ და რაღა საკვირველია, ის ყოველივეს ბატონურათ სჩადიოდეს. ამ ბატონის ძალა მდგომარეობს მოძრავ ქონებაში, ფულში და გასაყიდ

საქონელში. მაშასადამე, მისი სიმდიდრე პირდაპირ და-  
მოკიდებულია ბაზარზე: აქვს მის საქონელს კარგი და  
ფართო ბაზარი—აქვს მას ფული და შეძლება. ამისა-  
თვის თვითფული სახელმწიფო ცდილობს, რაც შეიძლება,  
მეტე ბაზარი დაიხლოვოს და ხელში ჩაიგდოს. მეორე  
მხრით, ევროპის ბურჟუაზიას მოწინააღმდეგეთ ევროპის  
მუშა-ხალხი მოველინა და მის ბატონობას შემუსრვას  
უქადის. და ასე, ეს მე-XVIII საუკუნის ყოველივე ბა-  
ტონობის მოწინააღმდეგე დღეს თვით გამოდის ბატონ-  
ობის დამცველათ, და ისიც კიდევ—დამცველათ თავის  
თავის ბატონობისა.

ამ სახით, მეტოქეობა ბაზრის მოპოვებისათვის, ოპო-  
ზიცია მუშა-ხალხისა—აი რა თავ-სახეთქი საქმე აუჩნდა  
ბურჟუაზიას. სანამ ევროპა წარმოადგენდა საკმაო ბა-  
ზარს, მანამდის ევროპიელები ერთმანერთ შორის ქი-  
შპობდნ და ომობდნ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპა  
ვიწრო შეიქმნა საქონლის გასასაღებლათ, ისინი მოე-  
დვენ მთელ ხმელეთს და ახლა მას „ძმურათ“ იყოფენ.  
ინგლისმა შარშან გერმანიას სამოვა მისცა და გააჩუმა,  
სამაგიეროთ თვითონ ტრანსვალს ჩააფრინდა. ამერიკამ  
ფილიპინის და კუბას კუნძულები ისპანიის უფროსობი-  
საგან გაათავისუფლა და თვითონ დაიმორჩილა. ჩინე-  
თში თავისუფლათ შევიდნ და ჯარების შემწეობით  
„ძალათ მაცხოვრებლას“ ეწვეიან. აქ პირველათ შედგა  
ევროპის სახელმწიფოთა კავშირი (ჯერ-ჯერობით მაინც)  
და ჩინელთა „განათლებლას“ შეუდგა. ერთი-სიტყვით,  
ისტორიის ლოლიკამ აიძულა ევროპის მწარმოებელი  
კლასები და მათი მთავრობები, რაც შეიძლება, მეტი ბა-  
ზარი მოპოვონ და მეტი საქონელი გაასაღონ. ყველა  
ამისათვის-კი საჭიროა ძლიერი ჯარი, მრავალი ხომალ-  
დები და სხ. ე. ი. მილიტარიზმი. ამ გზაზე კაი ხანია იდგა  
საფრანგეთი და გერმანია და აი გასულ წელს ამ მხრით ამო-  
ძრავდა ინგლისი და ამერიკაც. ინგლის-ამერიკის იმპერია-  
ლისტური პოლიტიკა, რაიცა გამოიხატა სოლიდობი-რემ-  
ბერლენისა მაკ-კინლეის საარჩევნო გამარჯვებაში, არა  
არის-რა გარდა გერმანული სამხედრო პოლიტიკისა.  
სამაგიეროთ, გერმანიას რეისტრაციის მიერ ფლოტის გამ-  
რავლების პროექტის მიღება, რაიცა შარშან მოხდა,  
არა არის რა გარდა ინგლისური საზღვაო პოლიტიკისა.  
ამით ინგლისი გერმანიელდება და გერმანია ინგლისელ-  
დება. ე. ი. ორივე მეცადინეობს როგორც ხმელეთის, ისე  
ზღვის ჯარი ძლიერი ყავდეს. ამაზე უფრო მაღლა მილი-  
ტარიზმი ვეღარ აიწვეა. აშკარაა, გასული წლის სა-  
პოლიტიკო ამბები პირდაპირი შედეგია ევროპის მრეწ-  
ველ კლასთა განვითარებისა; კაპიტალიზმი საჭიროებს  
მილიტარიზმს და, რაც უფრო მეტი დრო გავა, მით  
უფრო გაიზრდება ეს საჭიროება. ასეთი წყობა, უეჭვე-  
ლია, დიდ-ხანს ვერ გასტანს და ვინც გასული წლის  
ამბების წინააღმდეგია, ის ამით თვით კაპიტალიზმის წი-  
ნააღმდეგიც უნდა იყოს და არა საზოგადოთ ევროპიელო-  
ბის. სანამ ასეთი წყობილება იქნება, მანამდის ყოველთვის  
უნდა მოველოდეთ ომს, შეჯახებას და ათას სხვა უარეს-  
საც.

ამგვარათ, გასული წელი ისტორიის უკანონო შევი-  
ლი არ არის, პირიქით, ის ტიპური მაჩვენებელია  
ევროპის დღევანდელი ურთიერთობის დაძველების და  
მისი განახლების აუცილებლობისა.

ამ ომებმა შარშან ბევრ ალაგას გამოიწვია მრეწ-  
ველობის კრიზისი. ინგლისში, გერმანიაში და სხ. ბერლინში  
ფირმები გაკოტრდა, ბერლინის ერთმა უძველესმა ბანკ-  
მა შეაჩერა წარმოება და მისი დირექტორი დატყვევე-  
ბულ იქმნა. რკინის დანახშირის გაძვირებამ ბევრი ქარ-  
ხანა შეაფერხა და მრავალი მუშა ხალხი უსაქმოთ დარ-  
ჩა. ერთი სიტყვით, გასული წლის მეორე ნახევრიდან  
მრეწველობის კრიზისი დაიწყო და ეს ჯერაც არ დას-  
რულებულა. მრეწველნი იმით იმედოვნებენ, რომ ეს  
წარმავალია, ომის გათავების და ჩინეთის ბაზრის მო-  
პოვების შემდეგ მრეწველობა ისევ თავის კალაპოტში  
ჩაღდება და კიდევაც აყვავდება; ეს ასეც უნდა მოხ-  
დეს, რასაკვირველია, ტყუილა ხომ არ ხარჯვენ ამ-  
დენ თოფ-წამალს, მაგრამ სანამ ეს ასე იქნება, მანამ-  
დის არა ერთი და ორი შეძლებული გაპროლეტარიატ-  
და და არა ერთი და ორი პროლეტარი ულუკმოთ  
დარჩა.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში უსაქ-  
მო მუშათა რიცხვი მრავლდება და ხელ-ფასი მცირდება.  
მაგ. ბერლინის „შრომის ბაზრის“ სიტყვით, გერმანია-  
ში ას თავისუფალ ადგილზე სექტემბერში მოდიოდა  
100 მთხოვნელი, ოქტომბერში 120 მთხოვნელი  
ხოლო ნოემბერში 158 წინა წლების იმავე თვეებში  
კი ადგილის მაძიებელთა რიცხვი გაცილებით ნა-  
კლები ყოფილა. ამ გარემოებამ დაბადა „საზოგადოე-  
ბა სოციალური რეფორმებისა“, რომელიც დეკემბრის  
25 ბერლინში დაარსდა. საზოგადოების მიზანია მუშათა  
მფარველი კანონმდებლობა წასწიოს წინ როგორც გერმა-  
ნიაში, იქვე სხვა სახელმწიფოებშიაც. დამარსებლნი  
არიან პროფესორები და ინტელიგენტები. ასეთივე ზო-  
მები საფრანგეთში თვით მთავრობამ მიიღო. მინისტრ-  
სოციალისტმა მილიერანმა, რომლის გამინისტრება  
მუშათა საერთა-შორისო კონგრესმა გაამართლა, კანონ-  
ით შეამცირა სამუშაო დღე, გაამრავლა შრომის ბირჟე-  
ბი და ამათი მართვა-გამგეობა მუშებს გადასცა; აგრეთვე  
წარადგინა კანონ-პროექტი, რომლის ძალით გაფიცვა  
მუშათა უმრავლესობის მიერ გამოცხადებული კანონით  
სავალდებულოთ ხდება უმცირესობისათვის. ეს სრულიად  
სპობს „მოლაღატეობას“ და ამხანაგობისაგან „გამოშ-  
ლას“ გაფიცვის დროს, რაიცა ისე ხშირია ახლა.

ეს კიდევ ცოტაა! მუშები თვით ზრუნავენ თავის  
თავზე, რისთვისაც მართავენ კონგრესებს, სცემენ მრავალ  
წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს და ასე თავის მდგომარეობას  
იგნებენ. ამ მხრით შესანიშნავია გასულ წელს  
გერმანიის მუშათა კონგრესი, რომელმაც უარჰყო ბერმ-  
ტაინის ერთხელ არჩეული გზიდან გადახვევა და პარი-  
ჟის საერთა-შორისო კონგრესი, რომელმაც დააარსა მუ-  
შათა საერთა-შორისო სეკრეტარიატი. საყურადღებოა  
აგრეთვე ინგლისის პარლამენტში მუშათა პარტიის კან-  
დიდატის, ჰაიდმანის პირველათ არჩევა და ვენის სამს  
უბანში სოციალ-დემოკრატების დეპუტატებათ გათეთ-  
რება.

ამ გვარათ, ბურჟუაზიის ლტოლვილება ახალი ბაზ-  
რებისაკენ და ამისათვის ომების დაწყება, საერთო სამ-  
რეწველო კრიზისი და მრავალი მუშა ხალხის უსაქმოთ  
დარჩენა და, მესამეთ, სოციალური რეფორმების განგრ-  
ძობა და მუშათა თვით-მოქმედების გაძლიერება—აი გა-  
სული წელიწადი ევროპაში, აი რა მოაველინა მან. ეგე-  
ვე მიმდინარეობა გადმოვეცა ახალ წელიწადს.

ბ. ჟორდანია.



### მინაური მიმოხილვა.

წვენი საქმეები—აი, რის შესახებ გვსურს „მინაური მიმოხილვაში“ „კვალი“ ს მკითხველთ ხშირათ ვესაუბროთ. ეს საქმეები, რასაკვირველია, არც ისე დიდი იქნება, რომ მოწინავე წერილისათვის გამოგვადგეს და არც ისე პატარა, რომ დავიწყებას მიეცეს. ერთობ ბევრია ჩვენში ისეთი მიმდინარე კითხვები, რომელნიც მხოლოდ „ახალ ამბავში“ ან უსხებთან და წაკითხვისთანავე მეხსიერებიდან ჰქრებიან. და მართალი მოგახსენოთ, ასე მოსაძულებელიც არ არის ჩვენი ამბები. მრავალი ამთავანი მოიხზოვს ასეთ თუ ისეთ დაფასებას, აწიან-დაწონვას და ასე მკითხველისათვის მიწოდებას. განსჯილი და გარკვეული ამბავი თავიდან აღვიღო მოსაშორებელი არ არის, ის ადამიანის გონებაში მკვიდრ ბინას იკეთებს და მაგრათ ექიდება. ერთი სიტყვით, მიმდინარე საყურადღებო ამბების ანუსხვა და მათი მოკლეთ დაფასება—აი „მინაური მიმოხილვის“ მიზანი.



პირველ ყოვლისა, სიხარულით უნდა აღვნიშნოთ სოხუმის ქალაქის თავის საბოლოოვით არჩევა. ამ საქმეს გრძელი ისტორია აქვს, რაღაც მიზეზით, სოხუმი განსაკუთრებით პირობებში ჩადგა... ასე, ეს ქალაქი იყო ერთ დავიდარაბაში. სიმართლე რომ ვთქვათ, ბევრში სოხუმელებიც არიან დამნაშავე... თ. შარვაშიძის ქალაქის თავათ არჩევა, მოსალოდნელია, ამ გძელ ეპოპეიას ბოლოს მოუღებს და ქალაქის საქმეთა მიმდინარეობას ჩვეულებრივ კალაპოტში ჩააყენებს.



ამ ერთი კვირის წინათ „ახალ მიმოხ.“ ბაქოდან სწერდენ, რომ იქაური ქართული ბიბლიოთეკასულს დაფასო. ეს ერთი ხანა ასე გვესმის და არც მთლად მოკვდა არც მთლათ ვაცოცხლდა. ასე ცოცხალ-მკვდრათ ბიბლიოთეკის შენახვა ვერაფერი სასიქადულოა ბაქოელ ქართველებისათვის. იქ, რამდენათ ვიცით, ერთობ ბევრი ქართველია, თითქმის სულ ყველა ვაჭრობა-ძრეწველობაშია დაბანდებული; ზოგ მათგანს დიდი შეძლებაც შეუძენია და გვაკვირვებს ამდენმა პირმა როგორ ვერ მოახერხა ერთი უბრალო სამკითხველოს შენახვა. თუ-კი ლატაკი სოფელი ინახავს ასეთ დაწესებულებას, რა გაუჭირდათ ბაქოელებს—არ მესმის, უფულობაა ამის მიზეზი? არა მგონია; შარშან-წინ „კვალი“ დაბეჭდილ წერილიდან, ამ საგნის შესახებ, ჩვენ ის დასკვნა გამოვიყენეთ, რომ გაუტანლობა და წვრილმანი თავ-მოყვარეობაა ბაქოს ბიბლიოთეკის შემაფერხებელი მიზეზი და სხვა არაფერი. ნეტა ვიცოდეთ, სანამდის გასტანს ეს მდგომარეობა?



ამ წლიდან ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში ერთი დიდი ცვლილება ხდება. მთავრობამ გააუქმა საკომლო გადასახადი და მის ალგას შემოიღო საადგილ-მამული. გადასახადი ედება მიწის საკუთრებას და არა პიროვნებას, მაშასადამე, მიწათ-მფლობელი ხდება გადასახადთა გადამხდელი, არის ის გლეხი, აზნაური თუ თავადი—ეს სულ ერთია. ეს არის ერთათ ერთი სამართლიანი გადასახადი, მხოლოდ საქმე იმაშია, რამდენათ სამარ-

თლიანად იქნება ეს განაწილებული. ჩვენში, სადაც ჯერ კიდევ ბევრი მიწა ადგილები გაუმიჯვნელი და ცნობაში მოუყვანელია, სადაც მამული შესაფერ შემოსავალს არ იძლევა და ამიტომ მრავალი ნაჭრები შეუმუშავებლათ რჩება,—აი ასეთ პირობებში გადასახადის გამწვრი ძალა-უნებურათ დიდ შეცდომაში შევა და სამართლიანი დედა-აზრი უსამართლოთ განხორციელდება. ნაკლებ-მამულიანს დიდი გადასახადი შეეწვრება და დიდ მამულიანს—ნაკლები. ეს შეუძლებელია, მაგალითათ, ევროპაში, რადგანაც აქ თვითეული ადამიანის მდგომარეობა ხუთი თითივით იცინ, მაგრამ ჩვენში-კი, მთავრობამ კი არა და, ხშირათ თვითონ მეურნემ არ იცის, რამდენი შემოსავალი და რამდენი გასავალი აქვს. აქ ჯერ კიდევ ანარქიული მეურნეობაა, ის არავითარ ბუზგალტერიულ წესს არ ემორჩილება და რა ნაირათ შეიძლება, გადასახადის საქმეში სამართლიანობა დაცულ იქმნას? ეს შეუძლებელია. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ სიმართლე რამდენათმე მაინც იქმნას დაცული და ესეც დიდი ღვთის წყალობაა...

### სხვა-და-სხვა ამბები

გამოვიდა პირველი ნომერი ჟურ. „მოგზაური“-ს. ბიბლიოგრაფიას დაბეჭდავთ „კვალი“-ს შემდეგ ნომერში.

ამ თვის 14 ბათუმში გაიმართება ჩვეულებრივი სალამო იქაურ ქართული სკოლის სასარგებლოთ.

თფილისის ქალაქის თავისათვის ერთს ხმოსანს წარუდგენია განცხადება სტატისტიკურა ბიუროს დაარსების შესახებ ქალაქის გამგეობასთან. ბიუროს წლიურათ მოუნდება 3000 მანეთი ხარჯი.

როგორც ვახ „ცნ. ფურც“ ატყობინებენ კახეთიდან, თელავის მაზრაში, სოფელ კურდღელაურში საქონლის ქირი გაჩენილა. ქირის მოსასპობლათ საჭირო ზომები იქმნა მიღებული.

თფილისის საგუბერნიო მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის მთავარ-მართველის წინაშე იმის შესახებ, რომ 35,000 მანეთი იქმნას გადადებული იმ პატრონთა დასაჯილდოებლათ, რომელთაც ქირიან საქონელს მოუკლავენ.

„ცნობ. ფურც.“ ოდესიდან ტელეგრამით ატყობინებენ, რომ პირველ იანვარს იქაურმა სტუდენტებმა ილდესასწაულეს დამსახურებულის პროფესორის ვ. მ. პეტრაშვილის 30 წლის მოღვაწეობა.

ოდესიდან გვწერენ: აქაურ ქართველ სტუდენტებმა ტელეგრამით მიულოცეს სენკევიჩის ოც-და-ხუთი წლის ბელეტრისტულ მოღვაწეობის იუბილეი.

იქიდანვე: გამოჩენილი იტალიელი არტისტი ქალი ტიპა-დი-ლორენცო რუსეთში ტურნეს დროს (ცხლა მოსკოვშია) აპირებს თფილისში ჩამოსვლას.

ოდესის პორტში ამ ქამათ მუშაობს სამასამდე ქართველი მუშა. მათი რიცხვი ზაფხულობით ერთი ორათ მატულობს.

დიდი ჯიხაში. ამ ქამათ ჩვენში ძალიან მოდებულია სხვა-და-სხვა ავთომოტობა. ბევრი ესაღმება წუთი-სოფელს. თუმცა ჩვენში არსებობს ერთი აფთიაქი, მაგრამ რა სარგებლობას მოგვცნის აფთიაქი უეჭიმოთ? ამ რამდენისამე თვის წინათ ლაპარაკი იყო ექიმის მოწვევის შესახებ, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით სისრულეში არ მოუყვანიათ.

მარსელიდან გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ გამგე ს. ჭეიშვილი გვატყობინებს შემდეგს: პარკის ფასი, წარსულ წლებთან შედარებით, ძალიან დაბლა დგას. ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან თითქმის არავითარი მოთხოვნილება არ ყოფილა. ახალ-წლის წინა დღეებში ერთმა აქაურმა ბანკმა გაჰყიდა სირიის ყვითელი პარკი (საუკეთესოთ ითვლება) 8 ფრ. და 60 სანტ. ერთი კილო. ფუთში თექვსმეტი კილოა, ფრანკი ეხლანდელი კურსით ღირს 37,50 კაპ. ქუთაისის გუბერნიის პირველი ხარისხის თეთრი პარკი გუშინ გაიყიდა 6 ფრანკათ, დღეს ცოტა გაუმჯობესება დაეტყო: იძლეოდნენ 8,25 თეთრ პარკში, 8,50 ყვითელში. გამყიდველები კიდევ მაგრობენ, ჰტიქრობენ, მოიმატებსო. დღეს მოგროვილია მარსელში 1,300,000 კილო პარკი, ამბობენ, ამოდენა პარკი აქ თავის დღეში არა ყოფილაო. სიმინდის ფასი 11—11½ ფრანკია, ასი კილო (ექვსი ფუთი).

### კორესპონდენციები

**სოფ. ხიზაბაძრა** (ჭავჭავაძე). ხიზაბაძრა ზედ სახლგარ-ზეა, რომელიც ჭავჭავაძის სახლების მხარეს ცდაკეპებს და იხერხებს 150 კომლს მცხოვრებელს (2,000 სულამდე). ამ სოფელს თუმცა დიდი ადგილი უჭირავს, თითქმის 40 კვადრ. გერსი, მაგრამ რადგანც ბევრი დრანტე—ხანგნარ (ლოდნარი) ადგილებია, რომელიც სახნავ-სათესს და საბაღას ადგილების სიდიადეს ავიწროებს, ამიტომ დიდათ ხელს უშლის მათ ეს დამაბრკოლებელი მიზეზი ბევრი ცხვარძრების შესანახათ.

ამ თუთხეტ-თექვსმეტი წლის წინათ ხიზაბაძრელები უმეტესს ინახავდნენ, ვიდრე ახლა. რადგანც ზედაველას მთა (ბაკურთანთან ახლო ჯობარეთშია) ამით ხელში იყო, ყოველ ზაფხულდობით იქ რეკავდნენ საქონელს; იმ დროს 30 მეცხვარეს ჰყოფდა 6,000 სულამდე თხა-ცხვარი და 1,000 სულზე მეტი ძროხა, საიდგანაც ერთ ზაფხულს იქ ამზადებდნენ 7,000 ფუთზე მეტს ყველს და 1,200 ფუთ ვროხს და იმის დაგვარად მარულ-ბანასა. ახლა-კი ზედაველა ხელიდგან გაქცათ, რადგან მთავრობამ ჩამართვა და იმის შესამდის-კი ვეღარ სარგებლობენ საქონლის სიმცირისა გამო. უწინ, ე. ი. 10—15 წლის წინათ, თვით მცხოვრებლები ბევრად ნაკლები იყვნენ, ვიდრე ახლა, და შემოსავალიც სამჯერ აღემატებოდა, ვიდრე ახლა. მომარტების და გამრავლების მაგიერ, შემოსავალი გამრავლებულ ხალხს ერთიან შეუმცირდა და მათ შესამჩნევათ დადარიბდნენ მცხოვრებნი, თავის რჩენა გაუჭირდა ხალხსა და აქა-იქ საქართველოს სხვა-

და-სხვა კუთხეებში წანწალ-მთხრობათ რჩებიან მოწოდებული და მდევის მსგავსი ხიზაბაძრელები. მითომ და რა ჰქნან. სახნავ-სათესი მტირე აქვთ და სამუშაო ხომ აქ არსად იშვება, აბა შიმშილით ხომ არ მოკლავენ ცოლ-შვილს!

რადესაც ხიზაბაძრელები უმითთ შეწუხდნენ და საქონელი ვეღარ ასაზღოეს უამისოთ, მაშინ დავას შეუდგენ 1883—1885 წლებში. კუხნია და საკუთრების დამამტკიცებელი საბუთები მიანდგეს მასწავლებელს ბ. გეგიძეს, რომელიც იქ მსახურებდა სკოლაში. მცხოვრებთ ეგონათ, საქმეს გაგვიკეთებს გეგიძე და, მგონია, სახარჯო სადავოც გაიწერეს და მართვეს საქმის საწარმოებლათ, მაგრამ დღემდე არაფერი ამბავი არ უცხობებია ხიზაბაძრელებისათვის ბ. გეგიძეს. რა ჰქნა და რა არა, — ჯერ გამოურკვეველია ხალხისათვის.

ამ უკანასკნელ დროს იმედ-მისდილნი-კი სხვა გზას დაადგენ: თუ აღარ გვეშელება ზედაველას მთას დაბრუნება, იქნების მოთავრობამ გვიყოს წყალობა და სხვაგან სადმე გადავვასხვადოსო; ამისი მისურველი 40 კომლზე მეტია, რომელთაც უფრო არტანის მხარეში სურთ გადასახლება, სოფ. კელში, რომელიც უწინ სოფლათ ყოფილა და ახლა კი ნაოხრათ არას დაჩნენია. თვითონ ვერ ახერხებენ ჩივილს, გზას ვერ იკვლევენ და სხვებსა თხოვენ: გაგვიკეთებთ და გვიპატრონეთო. სხვათა შორის, მეც რა ერთხელ მომმართეს ტირილ-ვიშათ — გვიმეთაურეთ, 200—300 მანეთს მოგცემთ და გვითხოვეთ, სადაც ჯერ არს, გადავვასხვადონო, მაგრამ მე რა შემიძლო მათეინ სამსახური გამეწია და მეგზირდი, რომ ვახეთში გამოვაქვევებო თქვენ გაჭირვებას-მეთქი.

მესნი კ. გვარამაძე.

**ს. ავაშუაძეთი** (შორაშის მხარე). „ზოგან თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგან თქმითაც დაშვდების“—ო ამბობს უკვდავი შოთა რუსთაველი. გორესზონდენცია ს. ამაშუაძეთიდან („კვალი“ № 28) არ დარჩა „ხმად მღალადებელისა უდაბნოსა შინა“. წაიკითხეს იგი თუ არა, ამაშუაძეთლებმა ერთი აურ-ზაური ასტესეს. იქით ეცნენ, აქით ეცნენ, შებნაილ-შემბნაილდენ, როგორ თუ ნაბადში გახეული ჭეშმარიტება გამოაქვეყნესო, სიმათლე აღიარესო, მაგრამ რა? ჭეშმარიტება ისევე ჭეშმარიტებათ დარჩა და სიმათლემ სძლია უსამართლობას. ბოლოს გული მოიბრუნეს და ისევე კითხილი იფიქრეს: ზოგაერთმა შეგნებულმა თავად-ახნაურობამ გამაროეს წარსულ ზაფხულში წარმადგინა, მაგაროვეს საკმაო ფული და გაჭვავინეს, სადაც ჯერ იყო, თხოვნა ამაშუაძეთში სამკითხველს დაარსების ნება-როვის ასაღებად. აი კიდევ მიიღეს ნება-როვა და ახლა შეუდგენ საქმის დაგვირგვინება-განხორციელებას.

გუსურფოთ ამაშუაძეთის მომავალ სამკითხველს მტკიცე სიფუძველი და ნიჭიერი გამგე-მომგლელო!—არც კვლები ჩამორჩა უკან თავად-ახნაურობას. იმათ 5 წარსულ ნოემბერს დაადგინეს განახენი არსებული ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლის ორ-კლასიანთ გადაკეთებისა, რისთვისაც „ზრიგოფორი“ უკვე გაჭვავინეს დასამტკიცებლად მთავრობასთან.

ბედნიერი ხარ, მეოცე საუკუნის დასაწყისო, რომ ამაშუაძეთი მოკვება ზრიგურსით! დიდი მადლობის ღირსია ხარკაულის „უჩასტის“ ბოქაული ბ. ი. ზ. დოდბერიძე, რომელმაც 5 ნოემბერს სიფუძველიანთ და გასაკებათ აუხსნა საზოგადოებას სწავლის საჭიროება, რის შემდეგაც ყველამ ერთხმად განაცხადა ორ-კლასიანი სკოლის დაარსების სურვილი.

ახლა თუხსნილი 25-32

ამაშუკეთის საზოგადოებამ ძველი მამასახლისი უკვე გადაეყენა და მის ნაცვლად ამოიწიის გლეხი ი. ბარბაქაძე. ვისურვებთ რომ ბ-ნ ბარბაქაძეს რივიანთ აესრულებინათ თავისი მოვალეობა...

ს. ჯაბანა (ოზურგეთის მაცრა). ამ სოფლის ბედობა და გაჭირვება ჩვენ უკვე ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, „კვალი“-ს შემწეობით (1897 წელში), მაგრამ, როგორც ქვემოთ-მოხსენებულადგან დაინახავთ, არავინ არ სცნო ვალათ მიექცია უფრადება ხსენებული სოფლის გაჭირვებას და ჭირ ვარამზე. გასული წლის ნოემბერში ხელ-შეკრეთ წავიდა ამ სოფელში, ავთავალიერ-დავთავალიერე იგი; მაგრამ, სამწუხაროთ (წინანდელთან შედარებით), სასურველ ვერაფერი ვხვდები. კმა ისევ ანგრეულ-დანგრეულია: ზოგან ისეთი ტბა და ტლახა არის გზაზე და მდგარი, რომ ან უნდა შემოუაროთ მას ერთი-ორი ვერსის მანძილზე, ან და კარკ ბუდურ ცხენზე უნდა იჯდეთ, რომ გაბრძნდეთ. ეზოები თხემლებით და სხვა უსარკებლო ხეებით არიან დაბურულნი. სამი ნაწილი ამ სოფლისა სამთა შუა არის მომწვედელი (აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით); მხოლოდ ჩრდილოეთის მხრით აქვს მას კარი ღია და აქაც დამხალი ხარისხის წყალი უდგია წინ, რომლის აუტანელი სუნის სულ ერთიანთ ანადგურებს ს. ჯაბანის მცხოვრებს. სოფლის სიკრძე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, სამ ვერსამდის იქნება, ხოლო სიკრძე (მთას-და-მთას შუა) თუთხმეტ სუენს არ აღემატება. მეთხედი ნაწილი ს. ჯაბანის მცხოვრებისა ამ სამი კვადრანტის დასავლეთისკენ გარის ძირს დასახლებულან. ამათი სიკრძე ორ ვერსამდის იქნება და მიდის ნიგოთის საზოგადოების საზღვრამდის.

საკმაოა ერთი გარემოება ამ საზოგადო (და კერძოთ ჯაბანლების) გზაზე, თქვენ დაწმუნდეთ მათ, რომ მას აქეთ, რაც ეს სოფელი აქ დასახლებულა, ის არავის არ შეუკეთებია. ს. ჯაბანა, როგორც მაშინ ვწერდით, ამაღლების საზოგადოებას ეკუთვნის. ამ სოფელსა და ხსენებულ საზოგადოების შუა ნიგოთის მთა არის ამათუფი, რომელზედაც გადაბე-გადმობრება ოც-და-ხუთი თუ ოც-და-რვა ვერსის მანძილს უსწორდება. ამიტომაც ამაღლების მამასახლისი ამ სოფელში ერთჯერ თუ გადმობრძანდება წელიწადში ისიც დიდი ღვთის წყალობა არის და მაშინაც რამე თავის საქმეზე, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სოფლის გაუმჯობესებასთან. წინათ ჩვენ ვამხნევდით, რომ 1892 წლიდან მოკიდებული 1897 წლამდის—წელიწადში ხუთი სულით ნაკლები იბადებოდა, ვინემ კვდებოდა; ესეა კი, როგორც ქვემოთ დაინახავთ, ამ უკანასკნელის რიცხვი შესამჩნევათ შეცვლილა:

დაბადებულია:

- 1897 წ. (8 კაცი და 6 ქალი) სულ 14 სული
- 1898 წ. (5 კ.—10 ქ.) სულ 15 სული
- 1899 წ. (9 კ.— 8 ქ.) სულ 17 სული
- 1900 წ. ნოემბრამდის (7 კ. 5 ქ.) სულ 12 სული

გარდაცვალებულია:

- 1897 წ. (9 კაცი და 9 ქ.) სულ 18 სული
  - 1898 წ. (10 კ.—10 ქ.) სულ 20 სული
  - 1899 წ. (12 კ.—11 ქ.) სულ 23 სული
  - 1900 წ. ნოემბრამდის (12 კ.—13 ქ.) სულ 25 სული
- სულ ამ ოთხი წლის განმავლობაში დაბადებულა ორმოცდა-თვრამეტი (58) და გარდაცვლილა ოთხმოცდა-ექვსი (86);

ე. ი. ოც-და-რვა სულით მეტი გარდაცვლილა, ვინემ დაბადებულა. ამხიარათ, წლიურათ (საშუალო რიცხვი, რომ ვრქვამთ) ს. ჯაბანას აკლდება შვიდ-შვიდი სული.

სულ ჯაბანაში დღეს (დაახლოებით) სამას ოც-და-ოთხ (324) სულამდის იქნება. მაშასადამე, თუ წლიურათ ჯაბანლებს აკლდებათ შვიდ-შვიდი სული, იმ შემთხვევაში იმასთ მთლად ამოწვევტას ჰქვლია კიდევ ორმოცდა-ექვსი, თუ ორმოცდა-შვიდი წელიწადი—მეტი არა.

ამხიარათ, ჩვენ ვხედავთ, რომ რამდენადაც მეტი წელიწადი გადის, იმდენათ გარდაცვალებულთა რიცხვი ჯაბანაში თანდა-თან აჭარბებს დაბადებულთა რიცხვს.

ტ. ართმელაძე.


რუსეთი მე-XIX-ე საუკუნეში

II

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ ნივთიერი განვითარების უმთავრესი ფაქტორები; საჭიროა აღვნიშნოთ ასეთივე ეტაპები რუსეთის სულიერი ცხოვრების წინ-მსვლელობაში. აქ თვალწინ გვიდგება შემდეგი მოვლენა: საშინლად ეთანხმებთან ერთ-მანეთს განებრივი განვითარება და საზოგადო მოღვაწეობის ამაღლება სახელმწიფო ცხოვრების ახალ ფორმებს და აგრეთვე, შირ-იქით: განებრივი ცხოვრების შეხერება შედეგია ხელი, უჩინარი ევოლუციისა და თან-და-თან ცვლილებისა, რომელიც ხდება მცხოვრებლების სხვა-და-სხვა ნაწილთა ურთიერთობაში.

მე-XIX საუკუნის დასაწყისში, ალექსანდრე I-ის ჰუმანურ ეპოქაში, რუსეთის განებრივმა მოძრაობამ ნათლათ აღებულა და იმ დროის საზოგადოების სულის კვეთება. მაგრამ, რაკი საზოგადოება შედგებოდა განსაკუთრებით მსხვილ მიწათ-მოფლობელთა კლასის წარმომადგენელთაგან, იდეაც ლიტერატურასა და მეცნიერებაში გამომეტყველი იყო ამ კლასის შეხედულობა-მისწრაფებისა. მაგალითად, ლიტერატურასა და ისტორიაში იმ დროში შესამჩნევი იყო ერთი ნიჭიერ მწერალთა და მეცნიერთაგანი—კარამზინი. ლიტერატურაში ის იყო მამათ-მთავარი სანტიმენტალიზმისა, რომელიც წარმოადგენდა უფრო გასართობს და არავითარ სერიოზულ გამოცანას მწერლობას არ აღეგდა. ისტორიაში ის გამოდიოდა უმადლეს წოდებათა და არისტოკრატიულ მართველობის დამცველათ. ეს ადვილი გასაკებიცაა. იმ ეპოქაში სახელმწიფო ცხოვრების ჩარხს ატრიალებდა უმთავრესათ მსხვილ მიწათ-მოფლობელთა არისტოკრატია, ამიტომაც სკოლა და ლიტერატურაც მხოლოდ მათთვის იყო: სკოლები ცოტა იყო და მათში მხოლოდ აზნაურები სწავლობდნენ, მეცნიერება და ლიტერატურაც აზნაურთა პრივილეგიას შეადგენდა. ამის გამო კარამზინის შემკვიდრე ყუკოვსკიც სწორედ იმ უხელოდ რომანტიული ლიტერატურის გამომეტყველი იყო, რომელიც უბრალო თავის-თავის მოტყუებას, თავის-თავის ნუგეშის-ცემას შეიცავდა და სხვას არაფერს.

რუსეთის ლიტერატურამ მაშინ შეიძინა ისეთი შესანიშნავი მწერლები, როგორც: იუვენ ჰუშკინი, გოგოლი და ბუდინსკი, როცა საზოგადოებამ იგრძინო ბატონ-უმობის მისჯობის წამის მახლობლად, როცა ძლიერათ დაეტყო ცხოვრების მოედანზე უმიწაწლო აზნაურებისა და მოხელეების გამოსვლა, რომლებიც განსაკუთრებით თავის საკუთარი შრემით ზოულობდნენ ღუგამ ზურს.



ეს ზრდა უმიწა-წელო აზნაურობისა და მოხელეთა, რომელნიც საკუთარი შრომით იზრდებიან თავს და ქვეყნიდან ახალს იდეოლოგიას, არ შეეძლო შეეჩერებოდა არც ნიკოლოზ I-ის კანონთა სიმკაცრეს და არც სხვა რასმეს. არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს სძლიოს ისტორიის კანონები, ამიტომაც ყოველგვარი სისასტიკე ცნებულისა, ყოველგვარი ცდა — დაეცვათ რუსეთი ევროპის გავლენისგან — უნაყოფოთ რჩებოდა და გლეხთა განთავისუფლების იდეა და მტკიცე კანონ-მდებლობის მოთხოვნა იდგება დღე-დღეზედ იზრდებოდა და ვითარდებოდა, მართლაც, იზინა თუ არა თავი 50 წლების დასასრულში გამანათავისუფლებელ მოძრაობაში, ფართოთ იფეთქა იდეურმა ცნობებამ და მკვლარი დიქტატურა ერთბაშად გამოცდებულა. გაიშა გრძობით სავსე ქადაგებანი ჩერნიშევსკისა, ზისარევისა, დობროლიუბოვისა, გერცენისა; მოეთინა ნეკრასოვის გამანათავისუფლებელი სიმთაჟღერა, ქვეყნის უღმრთოესი სატირა შედრინისა. განიდა მთელი გუნდი შესანიშნავ ბელეტრისტთა: ტურგენევი, განჩაროვი, დოსტოვესკი, ლ. ტოლსტოი და მრავალი სხვა, რომელთაც გააშუქეს რუსეთის თვით უბნელესი კუთხეები. ამავე ეპოქაში ვამხნვეთ განათლებისადმი მისწრაფების ზრდას. დიდებულ რეფორმებმა გამოიწვიეს მოხელეთა შტატის გამრავლების საჭიროება, მაგრამ არა იმ ძველ, გოგოლის მიერ დახატულ, ტიპების მსგავს მოხელეთა, არამედ სულ ახალგაზდა, ქორთვა ძალისა და ფართო განათლებისა და აზროვნების მქონე კაცთა. მთავრობა კარგად ხედავდა, თუ როგორ საჭიროებდა სახელმწიფო განათლებულ კაცებს და მოსურვებ განათლებას უველა კლასთა საზოგადო საკუთრებათ ექცია, დაწეებული ახლათ განთავისუფლებულ კლასთა შვილებიდან, ვიდრე უბრუნებულეს თავადებამდე. ამ აზრით იხსენებდა სხვა-და-სხვა სასწავლებლები: გიმნაზიები, სახალხო სკოლები და სხვა. ბატონ-უმობის მოსაზრება ისეთი შესანიშნავი მოგვლენა იყო, რომ რადიკალურ ცვლილებას თხოულობდა განახლებულ რუსეთის უველა დაწესებულებებში და ამიტომ არც გასაკვირვებელია, რომ სულ რამდენსამე წელიწადში ეს ამოცანა რუსეთი სრულიად უნებობი შეიქნა. ამასთან საჭიროა შევნიშნოთ, რომ ევროპის კაპიტალისტური წარმოების მზა-მზარეულმა ფორმებმა და ტენზიის განვითარებამ ისეთი სისწრაფით გააქანეს რუსეთის უველიუცია, რომ თვით დიდათ გამჭრიახმა მოღვაწეებმაც-გი აკერ ახლა დაიჩვენეს რუსეთის გაზრდა და ეკონომიურათ ევროპისთან გათანაწირობა. ასეთი ცხარე სისწრაფე განვითარების გზაზე დიდხანს არ გაგრძელებულა მე-80-ე წლების დასასრულს, რომლის დასწყისშიაც მოხდა ალექსანდრე მე-III-ის ნაძალადევი სიკვდილი, იწეება უველი რეაქცია დიქტატურაში და განსაკუთრებით ზუბოცივისტიკასა და სახალხო განათლებაში. სახელმწიფო უველი საკმაოთ გამძღარი იყო მოსაქმე მოხელეებით და მოღვაწეებით სხვა-და-სხვა სახეობეზე და მთავრობამ საჭიროთ დაინახა შექვევითა კიდევ მეტა ზრდა ინტელიგენტ-პროლეტარიატისა. მაგრამ ამავე დროს განათლებულ მუშაკებს საჭიროებდა სავაჭრო-სამრეწველო კლასი. და აი კიდევაც თავი იზინა სხვა-და-სხვა სხეციალურ სასწავლებლების გახსნის ტენდენციამ, ნაცვლათ საზოგადო განათლების მისაღებ სკოლებისა (მაგალ., ტენიკური, კომმერციული და სხვ.), რომელთაც შეძლებოდათ მიეცათ ვაჭარ-მრეწველთათვის მცოდნე და განათლებული მუშაკნი.

ამ სახით რუსეთის აზრი და საზოგადოებრივი ცნობებმა სრულიად ემორჩილებოდნენ დროთა ბძახებლობას. საზოგადოებრივი ცნობების ამაღლება და დიქტატურის აყვავება მუდამ

წინ უსწრობდნენ ამა თუ იმ შესაძნევე მომენტებს მე-XIX საუკუნის ისტორიაში. იდეები ხომ მუდამ წინ უსწრობდნენ თვით რეფორმებსაც. არაფერი ახალი მოგვლენა არ იხენს თავს ანაზღაურლათ, ერთბაშათ, არამედ მზადდება თან-და-თან. ეს წესი სავითარა როგორც დიადის, ისე ზაწია ისტორიულ მოვლენათათვის. სანამ ჯერ კიდევ ძველი სრულიათ მოისპობოდა, ამავე დროს იბადება, იზრდება და მავრდება ახალი. ასე იყო რუსეთშიაც. სანამ კიდევ ბატონ-უმური ჯოჯოხეთი ტრიალებდა იბადებოდა უველი ახალი წეს-წყობილება, იწეებოდა მსხვილი მრეწველობის ეპოქა, ამიტომაც რეფორმების მოხდენამდე ვხვდებით ჩვენ ამ აზრის მტკარებელ ზიხს თვით ბელისტიკი. ბოლოს და ბოლოს, რამდენადაც ძველი გზას უთმობდა ახალს, იმდენათ ამ ახლის მომხრეებმაც ახსეს შეცნობება დიქტატურის უველა კუთხეები, რომ შემდეგ თავის მხრით ამათაც ალაგი დაუთმით უკანასკნელ ათის წლის განებრივ მოძრაობისათვის. ძველი „ნაროდნიკული“ თეორიები თან-და-თან ქვეყნიდან და ალაგს უთმობენ ახალს. ზუბოცივისტიკასა და შეცნობებაში უველი ფეხი მოიმაგრა დასავლეთ ევროპის მოწინავე ეკონომისტთა თეორიების შესწავლამ და ამ თეორიების რუსეთის ცნობების სიამაღლეში მოხმარ-გამოყენებამ...

ამ გვარათ, რაკი რუსეთი წევრი გახდა დასავლეთ ევროპის ხალხთა ოჯახობისა ეკონომიურ და საზოგადოებრივ ნიადაგზე, ამით ის უველი სულიერი ცნობებითაც შეკავშირა ევროპასა და მასთან ერთათ მიფთხნავს პროგრესის გზაზე.

Nord.

### 1900 წლის სიციყვა-კამშული მწერლობა.

(შემდეგი \*)

თუ ჩვენმა პოეზიამ დაანება თავი წარსულს და მთელი თავისი ყურადღება აწმუოს მიაქცია, ჩვენი დრამატიული ხელოვნება ისევ იმ მდგომარეობაშია, რომელშიაც ის მისმა მამათ-მთავარმა — გ. ერისთავმა დასტოვა: თუ კომედია დაიწერება, მასში სრულიად უმანკო სიცილის გამომწვევი კომბინაციებისა და სიტყვების მეტი არაფერია; თუ დრამა ან ტრადედია, — წარსული დროის სისხლის ღვრის მეტს ვერასა ჰპოვებთ შიგ. დრამატიული ხელოვნების საგანი არის ადამიანის ფსიხოლოგია, ამ ფსიხოლოგიის ხატვა სხვა-და-სხვა მომენტებში, სხვა-და-სხვა ხასიათის, ტემპერამენტის და ზნეობის პირებში დრამატიული პოეზიის მიზანს შეადგენს. ჩვენი დრამატიული პოეზია კი თავის ნამდვილ საგანს და მიზანს სრულებით დაშორებული იყო და ახლაც ამ მდგომარეობაშია. ყოველ ახალ პიესას განახლებული იმეფით ეგებები, მაგრამ ეს იმეფი ისევ მალე ჩაჰქრება ხოლმე. ასე დაგვემართა „ასული ისრაელისა“ — ს. კითხვის დროსაც. ავტორმა აილო ისტორიული ფაქტი, გაამეორებია ის ჩვენ თვალ-წინ მომქმედ პირებს და ბოლოს მშრალი ფაქტი მშრალ ფაქტათვე დარჩა. ტრადედიის სხვა-და-სხვა ალაგას გაბნეულია ბევრი კარგი აზრი, მაგრამ ყველა ეს გაქარწყლებულია მთელი პიესის უზარობით: თუ როგორ უნდა თავისუფლებისათვის თავის განწირვა, ეს ძალიან ბევრჯელ გვსმენია, ბევრი მაგალითებიც დავიტოვა ამისი ისტორიამ და განუწყვეტლათ ამის მეორე-

\*) იხ. „კვალი“ № 1.

ბას და გახსენებას მხოლოდ ის შედეგი მოდევს, რომ ყველას მოგვებურდება და აკი მოგვებურდა კიდევ!

როდესაც ბ-ნი ან. ფურცელაძე პიესას სწერს, თითქოს განგებ ცდილობს, რომ პიესა სცენისათვის უფარგისი გამოვიდეს. დიდი სახელოვნო ღირსებაც რომ ჰქონდეს მის ახალ ტრადიციას, ერთ ნაკლათ მაინც ის იქნება, რომ სცენისათვის სრულგებობით გამოუსადეგარია; მე არ ვიცი არც ერთი პიესა, სადაც ამდენი და ამ სიგძე მონოლოგები იყოს. მეოთხე და მეხუთე მოქმედებაში ალაგ-ალაგ ბრბოს ფსიხოლოგია კარგათ არის დახატული, სამაგიეროთ მომქმედ პირთა ფსიხოლოგია მეტათ სუსტია და ბევრგან ყალბიც. თავ-მოყვარე და გამოცდილი ოლომფრე ბავშვივით ხელში უფარდება ივლითს მაშინ, როდესაც შეუძლებელი იყო, მას მეტი სიფრთხილე, მეტი წინდახედულობა არ გამოეჩინა. ოლომფრე მთვრალია; მის გვერდით მარტო ივლითია, რომელსაც მისი მოკვლა განუზრახავს; ივლითისათვის ყოველი წამი ძვირფასია; ოლომფრე უბრალო მეომარი ხომ არ არის, — მხედართ-მთავარია, მას დარაჯობენ, თვალ-ყურს უგდებენ; ყოველ წამს შეიძლება შემოვიდეს ვინმე და ივლითს ხელი შეუშალოს; ივლითი კი ოლომფრეს მოკვლის წინ იმოდენა მონოლოგს გვეუბნება, რომ მთელი სამი გვერდი უკავია. არაფერი არ აქარწყლებს ისე ილუზიას, როგორც სინამდვილის გადამახინჯება.

წარსული წლის „მოამბე“-ში იყო ბ-ნი ა. ცაგარლის; ახალი კომედია „ცისარტყელა“, რომლის გარჩევითაც ჩვენს მიმოხილვას დავაბოლოვებთ. იქვე იყო ბ-ნი არაგვისპირელის ვრცელი მოთხრობა „გიული“. თუ ერთ მაგალითზე შეიძლება რაიმე დასკვნის დამყარება, მაშინ ეს მოთხრობა ნათლათ მიმტკიცებს, რომ ავტორს ვრცელი ნაწარმოების დაწერა არ ეხერხება. — მისი სფერა პატარა ეტიუდებია, მხოლოდ მომენტები აღამიანის ცხოვრებისა და არა მთელი ცხოვრება, მხოლოდ ხან-მოკლე აფექტები და არა მთელი ფსიხოლოგია. მოთხრობა არა თუ არ წარმოადგენს სახელოვნო ნაწარმოებს, აზრიც არ არის მასში საყურადღებო; მოთხრობა იწყება სწორეთ იქ, სადაც ის ავტორმა არა-ხელოვნურათ შეწყვიტა გიულის მოკვლით; მან ოდნავ აღძრა ქერბალის გულში ბრძოლა მოვალეობასა და გრძნობას შორის, მოულოდნელადვე ჩააქრო და ამით მოთხრობას მნიშვნელობა დაუკარგა.

ორიგინალური სიტყვა-კაზმული მწერლობით როგორც „კვალი“, ისე „ივრია“ წარსულ წელს ძალიან დარბი იყვნენ. „კვალი“ თავის სიტყვა-კაზმულ ნაწილში გვიხატავდა ჩვენი გლეხის კრიტიკულ მდგომარეობას („ივანეს ოჯახის თავ-გადასავალი“), სიყვარულითა და თან სევდით აგვიწერდა ქალაქის წვრილ მუშა ხალხსა და გაჭირვებულთ (ნატოს ესკიზები), გვახედებდა განათლებული პროლეტარის ფსიხოლოგიაში („უგულობა“) და სევდით აღნიშნავდა დღევანდელი ცხოვრების საშინელ უსამართლობას, რაც გამოწვეულია ეროვნული სიმდიდრის უთანასწორო განაწილებით (სალამო ქალაქში). „დაკარგულ საუნჯე“-ში ბ-ნი თომაშვილი შეეხო ერთ საჭირ-ბოროტო კითხვას, ერთ დიდ უსამართლობას, რომელიც დიდი ხანია გამოუწვევია ცხოვრებას: ახალგაზდა ქალი შეცდა. უმანკოება დაპ-

კარგა და მის საქციელს საზოგადოება ისეთის ზიზღითა და კიცხვით უცქერის, რომ მას თავის მოკვლის მტერი აღარა დარჩენია-რა. ეს მან ნებით ჰქნა ან თუ უნებლიე! — გვეკითხება ავტორი. ექვს გარეშეა, ქალს საზოგადოების მიერ დევნა აკლდევინებს თავს, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ეს ახალგაზდა ქალი თავის თავს ამტყუნებს და საზოგადოების მხარეზე დგება, იმ საზოგადოების მხარეზე, რომელიც მას სიცოცხლეზე ხელს აღებიებს, როგორც ავტორის მიერ აღნიშნული ფაქტი, ისე ამ ახალგაზდა ქალის ფსიხოლოგია აშკარათ გვიმტკიცებს, რომ აღამიანის რწმენა-შეხედულობა ცხოვრების ამა თუ იმ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული; ერთი ეპოქის აღამიანის ფსიხოლოგია იმდენათ განიჩევა მეორე ეპოქის აღამიანის ფსიხოლოგიისაგან, რამდენათაც პირველი ეპოქის სოციალური ცხოვრება განიჩევა მეორისაგან. ამა თუ იმ შეხედულებას აღამიანში ცხოვრება ჰბადავს და ავითარებს. იყო დრო, როდესაც უმანკოების დაკარგვა ქალს არავითარ სასოწარკვეთილებაში არ აყენებდა, რადგანაც საზოგადოებრივი წყობილება ქალის უმანკოებას არა თვლიდა საუნჯეთა და მის დაკარგვას — დიდ ნაკლათ. როდესაც კერძო საკუთრების უფლება დაიბადა და ნელ-ნელა განვითარდა კაცობრიობის ცხოვრებაში, თავისი საკუთარი შემკვიდრების ყოლაც საჭირო შეიქნა და ამ დღიდან დავალო ქალსაც უმანკოების დაცვა, რათა ყოველი მამა-კაცი დარწმუნებულიყო, რომ მისი მეუღლის შვილები კანონიერი ქმრის იყო და არა სხვისი. თუ წინეთ მარტორიარხატის დროს საჭირო არ იყო შვილისაგან მამის ცოდნა და მამისაგან თავისი შვილების, ახალმა ეკონომიურმა ცვლილებამ, ე. ი. კერძო საკუთრების აღორძინებამ ასეთი ცოდნა საჭირო გახადა და აი აქედან წარმოსდგა ქალისაგან უმანკოების დაცვის არა თუ ვალდებულება, აუცილებლობაც. მამაკაცი კი ასეთი აუცილებლობისაგან ცხოვრებამ განათავისუფლა. ყველა აღამიანი ამ კითხვას ისე ქრის, როგორც მის გონებრივსა და ზნეობრივს შეხედულებას მოეთხოვება, ხოლო თვით ცხოვრება როგორ გადაწყვეტს, ამის გამოცნობა ძნელია. ექვს გარეშეა მხოლოდ ერთი: ახლო მომავალში დღევანდელი ოჯახი შეიცვლება და მაშინ მოსალოდნელია, ცხოვრებამ ან მამა-კაცის თავისუფლება არგუნოს დედა-კაცსაც, ან ერთნაირათვე შეზღუდოს ორივეს სქესობრივი გრძნობა.

„კრებული“-ს მე-II ნომერში დასტამბული ეტიუდის „ჰო თუ არა!“-ს დედა აზრი იგივეა, რაც ბ-ნი არაგვისპირელის „ძალი ყოფილხარ!“-ას. რა განსხვავებაა გიორგისა და არჩილს შორის? როგორ უყურებენ ისინი ცოლ-ქმართა შუა დალატს? მაშინ, როდესაც არჩილი სრულ თავისუფლეს აძლევს გრძნობას და არავითარ გონებრივ მოსაზრებას, არავითარ მოვალეობას არ უყენებს მას წინ, გიორგი გრძნობას გონების მორჩილათ ხდის: მას უყვარს სხვისი ცოლი, მაგრამ ამ სიყვარულს თვითონვე გაუბრბის, რადგანაც არ უნდა, პატიოსანი აღამიანის სახლში უბედურება შეიტანოს. არჩილს მოგვაგონებს ამავე ავტორის ეტიუდის „არ დამენახო, არა!“-ს გმირი, — ნიკო. ეს ეტიუდი „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა. ნიკო თავს ანებებს საყვარელ ქალს მაშინ, როდესაც მას უკვე შვილი ჰყავს და



თავს შემდეგის სიტყვებით იმართლებს: გიყვარდი მიყვარდი, ვხლა აღარ მესიამოვნება შენი ალერსი და მეც გმორღები... გრძობამ არ იცის, რითი დაიწყობს და რითი დაამთავრებსო. რომელია ამათში მართალი, რომელი მტყუანი? ექვს გარეშეა, გიორგი მართალია, არჩილი და ნიკო კი მტყუანი. ადამიანის ცხოვრებასა და მოქმედებაში გრძობას უსათუოთ უნდა ჰქონდეს ხმა. ადამიანს რომ გრძობებლობა არა ჰქონდეს, არა თუ სიცოხლე იქნებოდა უფერული და აუტანელი, თვით ადამიანიც საზიზღარი ეგოისტი იქნებოდა, მაგრამ გრძობა ბრმა არის, ცალ-მხრივი, ის თავის მიზნის მეტს ვერაფერს ვერ ხედავს, არასფერს არ დაეძებს და ანტიკომაც მისი დარაჯი, მისი შეცდომების გამასწორებელი ყოველთვის გონება უნდა იყოს. მართალია, გრძობა ხშირათ გონებას არ ემორჩილება და შეუჩერებლათ მიისწრაფის თავის მიზნისაკენ, მაგრამ, როდესაც გრძობამ უკვე მიაღწია თავის მიზანს, მისი ნამოქმედარის შედეგებში პასუხის მგებელი გონება უნდა იყოს, მას უნდა მიმართოს ადამიანმა და გაასწოროს გრძობის მიერ ჩადენილი შეცდომები. ნიკოს-კი ეს სრულებით დავიწყებია და თავის ეგოისტურ ბუნებას, რომელსაც საკუთარი თავის მეტი არა ახსოვს-რა, გრძობის ძლიერების ქვეშ მალავს. მისი გრძობა აღარ საჭიროებს მართაში, მაგრამ მას საკუთარი შვილი ჰყავს ახლა და ის, თუ ადამიანათ მიაჩნია თავისი თავი, მოვალეა ამ შვილის წინაშე; მან დაამცირა საზოგადოების თვალში მართა, გააუბედურა ის. რადგანაც საზოგადოება დღეის იქით მართას თითის საჩვენებლათ გახდის, ამიტომ ისევ ნიკომ უნდა აამაღლოს ის საზოგადოების თვალში, ისევ მან უნდა ააცილოს მართას საზოგადოების მიერ კიცხვა, ისევ მან უნდა დაუბრუნოს მას ბედნიერება. როდესაც გრძობა უკვე დაკმაყოფილდა, სიყვარულის საზღვრები თავდება. აქედან იწყება მოვალეობის საზღვრები, — აქ კი გონება არის მბრძანებელი და არა გრძობა.

ი. გომართელი.  
(დასასრული იქნება)

ს ს კ ლ - წ ი ლ ს \*)  
(ვუძღვნი პ. ქალს)

სიამოვნებით ვეგებები შენს მსგავსსა, ვდგევარ შენ წინა ფერ-მინდილი დადონებულნი, შეხედე ჩემს გულს დაწვლულს მრავალ წლებთაგან, მას არ უგრძობია არც სიამე, არც სიხარული! წასულმა წლებმა სათითათო მსტყუარცნეს ისარი, გული გამიწეს, შიგ ჩამსხეს შხამი, ნადგელი, იგი იმედი გამიწიბლეს რაც მასარება, უკუ აქციეს მისწრაფება ჩემი უფული! და გაწიბლეს ჩემი სეგა, რის გულზე მწვა, მწარეთ მკვნისარეს სული მქონდა აღმოფთებული, თანაგრძობის წილ ირგვლივ წვეგლავ, კრულავა მესმოდა, ვიყავ დევნილი, განკიცხული, მოძულეული! მას აქეთა ვარ მე ურწმუნო წელთა ბრუნვისა, სულს ადარა აქვს სიმშვიდე და გულს სასარება! მაგრამ შენ, რადგან ხარ შემცველი დრო და ჟამისა,

\*) ეს ლექსი პირველ ნომერში ვერ დაიბეჭდა...

იქნება შენში მოგვბოფო მე მოსვენება!  
ვფიქრობ: შენ ხარ ბოლო ჩვენი ვაგლან ცხოვრებისა და დასწყისი სხივ-მეინარე საუკუნესა  
შენ მოვევლინე მხსნელ მფარველათ ჩემებრ წაშებულთ, ძალ-მამკობით ფრთა გაუშლელთ დაჩაგრულებსა.  
შეხედე სოფელს, როგორ წითლათ შედებულდა, ტანჯულთა სისხლი წყაროსავით ჩამოხსრდალეს და ხალხი როგორ შიგ აშლილი, არეულია, ზოგი დამილით, ზოგი ცრემლით თავს დასტრიალებს!  
შეხე პირმითნე, ფარისეველთ პირ-ბადე აკრულთ, სალხი როგორი პატვითა მისჩერებას,  
ვინც განკიცხვის დღეს უკალობდა, უკმეველ გუნდრუგს, ვისაც ბრუნდ გზაზე მოძმე თვისი უტარებია!  
შეხედე მართლთ ნისკარტ მოჭრილთ, თავ-ჩადუნულეს, და ღონე მიხდილთ, მისუსტებულ კაცობრიობას,  
შეხედე წვედიადს კარემცულს და ამ საზიზღარს ხმა ამადლებულ, კანწყინებულს არარაობას!  
შეხედე ამათ, გაიმსჭვალე გულ-ჩვილობითა, ადგავე ბიწი, ძველსა წელსა თავში ახადე, ესდენ წაშებულთ დაგვიამე დღე დახარჩენი, სული მჭმუნვარე, გული წელული ამით ახარე!..  
შემოგვაცალე სიწვედიადე კარემცული, დადგი ღამზარი საზოგადო მისწადმელი, შენ შემისრულე ეგ ვედრება და იყავ წელი ჩემთვის ძვირფასი, სასოფარი, კვლავ სასატრელი!  
მით მომეც ნება მიუღოცო მოძმეთა ჩემთა, უთხრა: ჰა წელი, სიამელო, წელი ახალი! რომ მათ ვაამო შენი მოსვლა და მოუსურვო: გასთენებოდეთ ბედნიერათ წელი მრავალი.  
კატო მიქელაძე.

მე-XIX საუკუნე და ადგილობრივი კაცობები

თფილისის გაზეთებმა პირველ იანვარს წესი აუგეს მე-XIX საუკუნეს და კიდევაც დაემშვიდობნენ. „ცნობის ფურცელი“ ასე ახასიეთებს გავლილ საუკუნეს:

„მეცნობატე საუკუნე ჩვენში ორ ეპოქად იყოფა, რომელნიც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთში. მესამეცა წლებამდის ქვეყანას უფრო ძველში უდგია ფეხი. ომი ლეკებთან და კარგე მტერთანაც არ იყო დასრულებული; ხოლო შინ ისევ ბატონ-უმობა ჰსუფევდა და ფეოდალური წეს-წყობილება ერს სულს უხუთავდა. მაგრამ დაჭქრცლათ თავისუფლების ნიაფმა, გაწვდა მონობის ჯაჭვი და მომზადდა სრულიად ახალი ნიადაგი განვითარებისათვის. ვაჭრობა-მრეწველობა, ლიტერატურა, სწავლა-განათლების საქმე—უფოველივე განახლდა, უფოველივე დაჭქარკა ძველი აზიური ხასიათი. ერი გამავრდა და ჩაება საერთაშორისო ევოლიუციის ფერხულში. ამიერიდან მისი გზა მთედის განათლებულს კაცობრიობის გზას, მისი განვითარების კანონები უნდა დამოკრჩილდონ განათლებულ ერების პრეგრესის კანონებს... მოკლედ აღსანიშნავად ახლად დასრულებული საუკუნის მნიშვნელობისა ჩვენში უნდა ვთქვათ, რომ მას ახასიათებენ შემდეგი მომენტები: გაერთიანება საქართველოსი, საომრო ფეოდალურ წყობილების მოსზობა და მოქალაქობრივი ხანის დაწყება, კადვიძება ერის თვითცნობიერებისა, — ერთი სიტყვით, ევროპიულ კულტურის განვითარება.“



„ტიფლისის ფურცელი“ სწერს:  
 ამ საუკუნის დასაწყისში შემდეგ იქმნა საქართველოში რუსული მმართველობა და მასთან ერთად მთელ საუკუნის განმავლობაში შემდეგი საქმეები გაკეთდა: — 1802 წ. თფილისის მართველმა კოვალენსკიმ გახსნა პირველი სასწავლებელი. ორი წლის შემდეგ შეუდგენ საქართველოში ფიზიკის გამართვას. 1807 მ. ქართველი სამღვდელთა განთავისუფლდა შემამუდგათა უბობისაგან და სხვა მათ მოვალეობისაგან. 1817 წ. გაიხსნა თფ. სასულიერო სემინარია. იმავე წელს დაინიშნა მთავარ-მართებლათ ა. პ. ერმლოვი. 1827 წ. ქართველ თავად-აზნაურობას მიეცა ერთნაირი უფლება რუსის თავად-აზნაურობისა. ორი წლის შემდეგ მოჭედა დებულება კავკასიის სასწავლებლებზედ

1854 წ. — მდის. იმის დროს გაიხსნა რუსული თეატრა, გამოიცა გაზეთი. „Кавказ“; გაიხსნა ქალაქის წმ. ნინოს სასწავლებელი. 1848 წ. დაარსდა სასწავლებლების სამზრუნველო. — შემდეგ წელს გაიხსნა იქვე საცენზორო კომიტეტი. 1850 წ. გაიხსნა ქუთაისში გიმნაზია. დამტკიცდა სამეურნეო საზოგადოების წესდება. დაარსდა რუსულ გეოგრაფიული საზოგადოება და გაიხსნა სახალხო ბიბლიოთეკა თფილისში. — ამავე წელს გაიმართა თფილისში ბუნებრივ და სხვა ნაწარმოებთა გამოფენა. 1851 წ. თფილისში დაიწყო პირველად ქართულ ენაზედ წარმოდგენები, — და იტალიური ოპერაც. ვორონცოვის შემდეგ მის მოადგილეთ დანიშნეს თ. ბარათინსკი, რომლის დროსაც დაიჭირეს შამილი. 1860 წ. გაი-



ახალი წელი.

და თფილის. კეთ. შ. ზნსიონი გადაკეთდა გიმნაზიათ. 1836 წ. თფილისში გამოდის „За Кавказский Вѣстникъ“. (1856 წ. უერთდება, Кавказ-ს). 1838 წ. შემდგარ განსაკუთრებული რჩევა. — Главнаго Управленіе Закавказскимъ краемъ. — 1840 წ. — დაარსებულ იქმნა კეთილშ. ქალთა ინსტიტუტი. — 1844 წ. აიკრძადა იარაღებში და ბაზრებში უთავისუფლო ხალხის გაყიდვა, გარდა მოყიდვისა და სხვაზედ უფლების გადაცემისა. იმავე წელს დაინიშნა კავკასიის მთავარ-მართებლათ — მ. ს. ვორონცოვი, რომელიც დარჩა აქ

მართა ტელეგრაფი — თფილისსა და ფოთს შუა. — შემდეგ ორ წელიწადში თფილისი შეერთდა ტელეგრაფით სტავროპოლთან (დუშეთი და კავკავი), ნოვოჩერკასკთან და ამით შეტერბურგთანაც; აგრეთვე ერევანთან, ხახიევანთან და სპარსეთის საზღვარზედ მდებარე ს. ჯუღოთან. 1862 წ. თფილისში გაიხსნა გამოქვანის პალატა. იმავე წელს დაინიშნა კავკასიის ნამესტნიკათ დიდი მთავარი მ. ნიკოლოზის-ძე და ამ თანამდებობას ასრულებდა 1881 წლამდის. 1863 წ. გამოცხადდა სასამართლოს დებულება. 1864 წ. გამოცხადდა ბატონ-უმობის გაუქმე-

ბა კავკასიაში, 1865 წ. თთელ. კომერციული სასწავლებელი გადაკეთდა რეალურ სასწავლ. 1866 წ. დაარსდა თუნკის სასწავლ. 1868 შემოდებულ იქმნა ახალი სამართალი. 1871 წ. გაიმართა რკინის გზით მიმოსვლა თოთსა და უფრიდას შუა. — 1875 წ. გაიხსნა კავკასიის სამასწავლებლო სემინარია. ამავე წლიდან დაიწყო საქალაქო დებულების შემოღება. 1882 წ. დაინიშნა მთავარმართებლათ დუნდუკოვ-კორსაკოვი. და ამთანადებობას ასრულებდა 1890 წლამდე. 1883 წ. გაიხსნა რკინის გზით მიმოსვლა ბათუმიდან ბაქამდე. 1889 წ. თთელისში დაარსდა ცოფის საცრელი სადგური. 1890 წ. კავკასიის მთავარ-მართ. დაინიშნა შერემეტოვი — თავი დაანება 1896 წელს. 1892 წელს თთელისში გაიმართა პირველი სახალხო კითხვა რუსულ ენაზე, 1893 წელს გაიმართა ჭიათურის რკინის გზა. 1897 წ. მთავარ-მართ. დაინიშნა თ. კოლიცინი“.

„ახალი მიმოხილვა“:

„იმ დროის (მე-60 წლების უდიდესი რეფორმა — გლეხების განთავისუფლება — შემოდებულ იქმნა ჩვენს მხარეში მაგრამ ჯერ კი არ დასრულებულა. ნაღებების გამოვიდვა და გლეხთა განთავისუფლება შემამულებთან აუცილებელ დამოკიდებულებისგან ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. არ დამთავრებულა აგრეთვე მიწათ-გამოჯგნა, წოდებათა უფლებების გარკვევა, გაწესრიგება ზოგიერთ მიწათ მფლობელობის ფორმებისა და სხვ. — სახანჯო რეფორმა ჩვენში — საკომლო გადასახადი და საადგილ-მამულათ გადაქცევა — ძალში შედის დამდვარ საუკუნინდან! (რუსეთის შიდა გუბერნიისში, როგორც ვიცით, ზიროვნების განთავისუფლება ხარკისგან და მისი მიწაზე გადატანა მოხდა კარგა ხნის წინათ.) — სასამართლოს რეფორმა 1864 წ. შემოდებულ იქმნა ჩვენში ზოგიერთა გამოკლებითა. (არა გვეყვს ნათიცი მსაჯულები, ამოჩხეული მემრიგებელი-მოსამართლე და სხვა.) საქალაქო დებულება ბევრ ჩვენს ქალაქებში შემოდებულ იქმნა მხოლოდთ გასულ საუკუნის ბოლო წლებში და ისიც რამდენინივე ცვლილებით. ერთს სრულიათაც არ არის შემოდებული და მის შემოდებაზედ დაზარაკი აღიძრა სულ ბოლო ხანებში. — ზრთვესიონალური სწავლა ჩვენში ძალიან ნაკლებათ არის განვითარებული: პირველ დაწესებოთი სკოლები იმდენათ არ არის გავრცელებული, რომ შეიძლებოდეს ევკლასთვის სავადლებლო სწავლა; ჩვენში საკმაოთ სწრაფათ მიმდინარებას საშუალო განათლება, მაგრამ ქაქმდის ჩვენს მხარეში არ არსებობს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი“.

„ივერია“ გადაწვდა ევროპასაც და მის მე-XIX საუკუნის სოციალურ მდგომარეობის შესახებ ამბობს:

„მე-XIX საუკუნე პირდაპირი განგრძობაა მე-XVIII საუკუნისა არა მარტო არითმეტიკულად, არამედ სულიერადაც. მე-XVIII საუკუნემ მოსწო ფეოდალიზმი და ცხოვრებაში პირველი ადგილი მიანიჭა მესამე წოდებას, ესრედ წოდებულს ბურჟუაზიას. მას აქეთ მთელის საუკუნის განმავლობაში ბურჟუაზია იზრდებოდა, ვითარდებოდა და ცხოვრებაში მტკიცედ მყარდებოდა. ბურჟუაზიამ პირველად საფრანგეთში ააფრიალა დროშა და de jure უფველი წევრი საზოგადოებისა გაათანასწორა, დაწერა რა ამ დროშის: თანასწორობა, ძიობა და თავისუფლება.“

ამის თან შესაფერი დაწესებულებანი მოჭყენენ. საზოგადოების წევრთა გათანასწორობაში საზოგადოებაში ბრძოლა, მეტი კონკურენცია გამოიწვია. ამას-კი მოჭვეა უფრო სწრაფი განვითარება და წინ-სვლა, ჩქარი ცვალებადობა. საფრანგეთიდან ბურჟუაზიული წეობილება მოეფინა მთელს ევროპას და ამერიკას, თავი იჩინა ავსტრალიასა და აზიაში (აზიისში) და დღეს იგი უკვე მტკიცედ არის დამყარებული მთელს განათლებულს ერებში.

„მაგრამ მე-XIX საუკუნეში ბურჟუაზიას გვერდში ამოუდგა მუშათა კლასი. წინად, წარსულ საუკუნეებში, იყო მუშა, იყო ემა, მაგრამ არ იყო მუშათა კლასი. აუფაჯანება და ამობება მუშათა, მაგრამ ადგილი არა ჰქონდა და მუშათა კითხვას. ამ მხრით მუშათა კლასის განება, მისი აღმობინება ერთიანათ ეკუთვნის მე-XIX საუკუნეს.“

„როგორც ვიცით, დიდმა რევოლუციამ საფრანგეთში ბატონ-უმობა მოსწო: ემა და გლეხი განთავისუფლდა. ესრევ მოხდა, ადრე თუ გვიან, სხვა სახელმწიფოებშიაც. მაგრამ თავისუფალი ხელის ბატონი მუშა საჭიროებაში ფაბრიკასა და ქარხანაში შეიყვანა. იმ ხანებში ძალზედ განვითარებულმა მრეწველობამ და წარმოებამ, დიდმა ვაჭრობამ თავი ერთად მოუყარა მრავლის უმრავლეს მუშათ, რომელთა ბედი დამოკიდებული იყო მექარხნეთა ხება-უფოფლობისგან, წარმოებაში და მრეწველობაში ამასთანავე წარმოშობა საკვირველი ზრდა და განვითარება ქალაქთა. აი ამ ქალაქებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში შეიკრია მთელი მუშათა ჯარი. მათმა აუტანებლმა უფო-ცხოვრებამ მათ საზრუნველი გაუჩინა და სათნო აღამინათა უურადლებაც მიიქცია. თითქმის მე-XIX საუკუნის დასაწყისიდანვე თავი იჩინა სოციალისტურმა მოძრაობამ, რომელიც მიმართულ იყო მუშათა უფო-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ამ მოძრაობას თვისი ბელადნი ჰქვავდა, რასაკვირველია: რუენი, სენ-სიმონი და მისი მოწაფე ბაზარი, ფურკიე, ლუი-ბლანი, ბლანკი და პრუდონი, ლასალა და მარქსი ენგელსითურთ. როგორც ესენი, ისე პირველ-ხარისხოვანი პოლიტიკო-ეკონომისტები მთელის საუკუნის განმავლობაში არკვევდნენ თეორიულად სხვა-და-სხვა საზოლიტიკო-ეკონომიკო კითხვათ. მაგრამ ამის გარდა ზემოდასახელებულ ბელადთ თავს იდგვენ აგრეთვე, რომ ცხოვრებაში პრაქტიკულად გაუმჯობესებინათ მუშათა მდგომარეობა და ბედი. ამ რკვარმა მუშაობამ ის გამოარკვია, რომ მუშათა ინტერესი ეწინააღმდეგება კაპიტალისტთა ინტერესს, რომ მუშა თავისის ოფლითა და შრომით ჰქმნის ხოლმე ასრედ წოდებულს გადამეტს ღირებულებას, რომელსაც მხოლოდ კაპიტალისტი ისაკუთრებს. მუშა ცუდსა და აუტანელს მდგომარეობაშია იმიტომ, რომ საწარმოფო იარადი, საშუალება მას კი არა, კაპიტალისტს ეკუთვნის. ეს კი იმისი შედეგია, რომ არსებობს საკუთრება, მუშა ცუდს მდგომარეობაშია იმიტომ, რომ მას არავითარი საშუალება არა აქვს, რომ არ დასთანხმდეს კაპიტალისტის უფველ გვარს მისათვის საზიანო პირობას და რომ კაპიტალისტი ამით საშუალება ეძლევა მუშა იმდენს და იმდენს ხანს ამუშაოს, რამდენიც კი შესაძლოა. ხოლო რამდენადც მეტს ჰმუშაობს მუშა, იგი მით უფრო მეტს საქმებელს ამზადებს, ჰქმნის გადამეტს ღირებულებას და ამით უფრო ამდიდრებს კაპიტალისტს. ასეთს მდგომარეობაში ჩაყენებულს მუშას

არც კანონი ესარსება და მას არც არავითარ მატერიალური საშუალება აქვს. ამ გამოკვლევამ შესაფერი დასკვნა წარმოშობა პრაქტიკულ საშუალებათა შესახებ. პირველად მუშათა საქმეს რეგულირების ხასიათი ეჭვს იწვევს. ამ მიმართულების სულის ჩამდგმელი იყო მე-XVIII საუკუნის დასასრულს ბაბუი, ხოლო მე-XIX საუკუნეში ბლანკი და ბაკუნინი, ინგლისში კი ასე წოდებული ჩარტიზმი. მაგრამ ბოლოს მუშათა საქმემ უფრო მშვიდობიანი ხასიათი მიიღო და მტკიცე ეკოლოგიური გზის დადგა. თითქმის მთელის საუკუნის ბრძოლამ ის შედეგი მოიტანა, რომ დღეს უკვე განათლებულ სახელმწიფოებში ძალას და მოქმედებას ასრულ წოდებული საფარველი კანონ-მდებლობა, რომლის ძალით კაპიტალისტი ვაჭარებულის შესარუფის სხვა-და-სხვა პირობა მუშათა სასარგებლოდ. ახლა თითქმის განმარტებული საშუალო დრო და მუშათ გერმანიას, საფრანგეთსა და ბელგიის მინიჭებული აქვთ საარჩევანო უფლება: მათ თავისთავის ინტერესის დასაცავად პარლამენტში წარმომადგენელი ჰყავთ. თავისის მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუშებმა კავშირი შექმნეს და ამხანაგობანი დაიარსეს. სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში ამ ამხანაგობათ სხვა-და-სხვა სახელ-წოდება აქვთ. დედა აზრი იმათი-კი უკვლავ ერთია: დახმარება აღმოუჩინოს მუშათ გაჭირვების დროს, რათა მუშამ იათად არ მიჰყიდოს თავისი საშუალო ძალა კაპიტალისტს. დღეს მუშები თავისის საწადელის სისრულეში მოყვანას, განხორციელებას მიუფლით შეადგენენ. მთელის კონტინენტის მუშები, სხვა-და-სხვა სოციალისტურ მოძღვრების მიმდევარნი 1891 წელს შეერთდნენ, იმ მარქსიზმით, რომელშიაც შერეული და შეერთებული რეგულირების ხასიათი ბლანკიზმისა, ფედერალიზმისა და შორეული საწადელი კომუნისმისა. ხოლო ინგლისში, ამ მიუფლით სვლის ქვეყანაში, მარქსისტებს გარდა, უმეტესობა კუთვნიან ფაბიანთა სოციალებს, რომელთაც შეიმუშავეს მუნიციპალური სოციალიზმი, ე. ი. ისეთი სოციალიზმი, რომელიც თვით-მართველობათა საშუალებით ქვიქრობს კანონორციულს საწადელი.

კ. დ. უშინსკი \*).

ასულ 21 დეკემბერს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც ოდესში გადაიწვია რუსეთის დიდებული პედაგოგი კ. დ. უშინსკი. ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ ქართველ სოციალებს გავანთ ამ მრავალ მხრივ შესანიშნავი მოღვაწის ცხოვრება და ის აზრები, რომელთაც იგი ემსახურებოდა ერთგულად და დაუღალავად მთელ თავის სიცოცხლეში.

კ. დ. უშინსკი ჩამომავლობით იყო მაღორისი, საკმაოდ შეძლებული აზნური დიმიტრი გრიგოლის-ძის შვილი, დაიბადა 1824 წ. ნოვოროსიის-სევერსკში, ჩერნიგოვის გუბერნიისაში. პატარა კოსტია (როგორათაც მასინ ეძახდნენ) თერთმეტი წლისა დაობდა, დედა მოუკვდა; ამავე ხანებში ის მიაბარეს გიმნაზიაში, ემწვილი იმდენათ იყო შინ მომზადებული, რომ მესამე კლასში მიიღეს. გიმნაზიაში სავსებით სწავლობდა,


და, მაგრამ ამავე დროს გატაცებით კითხვლობდა გარემოების ნებს და აი კიდევაც ის იყო მიზნები, რომ კოსტიამ დასამთავრებული ეგზამენი ვერ დაიჭირა. ნიჭიერი ემწვილი ამ გარემობას არ შეუძინდა, გული არ გაიტეხა და საფხულის განმავლობაში ისე კარგათ მოემზადა, რომ პირ-და-პირ უნივერსიტეტში საუცხოვრით მისცა ეგზამენი. თექვსმეტი წლის უშინსკი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. კოსტიას უნივერსიტეტში ყოფნის დროს იმისი მამა იმდენათ გადაობდა, რომ პატარა უშინსკი იძულებული იყო ხანკვარზე გაკვეთილებით ეჩინა თავი. ამისდა მიუხედავად ორი წლის კოსტიამ სამაგალითით დამთავრა უნივერსიტეტი და ორი წლის შემდეგ სრული პ ჰბუკი კ. უშინსკი მიწვეულ იქმნა იაროსლავის დეშიდოვის ლიცეის პრეფესორათ.

ახალ-გაზრდა პრეფესორი სამაგალითით ასრულებდა თავის მოვალეობას და ამიტომაც იძულებული გახდა მალე თავი დაენებებინა სამსახურისათვის, რადგანაც არ უნდოდა შერიგებოდა იმ სულის შემხუთავ წესებს, რომელნიც ძირს უთხრიდნენ სწავლის საქმეს. 1855 წ. კ. უშინსკი შევიდა კატინის ინსტიტუტში მასწავლებლათ. შემდეგ დაინიშნულ იქმნა აქვე ინსტიტორათ. კატინიდან კ. დ. კადიუვანეს სმელის საქალებო ინსტიტუტის ინსპექტორათ, სადაც დარჩა 1862 წლ., ე. ი. იმ დრომდის, სანამ მტრებმა „დახსებით“ ისე არ გაუხადეს საქმე, რომ სამსახურისათვის თავი უნდა დაენებებინა. ვიდრე თავს დაანებებდა საყვარელ საქმეს, სამარცხვინო ბოძზე გააკრა ცილის მწამებელი, თავი იმართლად, მაგრამ ამ ბრძოლამ მის სუსტ აკებულებზე ძალიან ცუდათ იმოქმედა და ცხადათ გამოაჩნდა სიჭლეტის ნიშნები. ამიტომ გადაწყვიტა სახლგარეთ წასულიყო. სმელის ინსტიტუტში მოღვაწეობით დასრულდა უშინსკის პრაქტიკული მუშაობა სამასწავლებლო ასპირანტზე. და უნდა ვთქვათ, რომ სამაგალითით იყო უკვე იმისი მოღვაწეობა.

1862 წ. გაემგზავრა ევროპაში, სადაც დარჩა ხუთი წელიწადი. სახლგარ-გარეთ ყოფნის დროს, ჰოიდელბერგში, გაიჩნო და დაუახლოვდა ნ. ი. პირაგოვს, ცნობილ მეცნიერს და პედაგოგს, რომელსაც წინათაც დიდ პატივს სცემდა. ამ მოგზაურობას მოჰყვა შესანიშნავი პედაგოგიური „წერილები შვეიცარიიდან“. ევროპაში ყოფნის დროს შეადგინა უკვლასკან ცნობილი სახელმძღვანელო „Родное слово“. აქვე შეაგროვა მასალა თავისი თხზულებისათვის „Человѣкъ—какъ предметъ воспитанія. Опыт педагогической антропологии“. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ეს თხზულება გამოსცა ორ ტომათ. ამავე დროს დაბეჭდვინა „Родное Слово“-ის მესამე ნაწილი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდ მონაწილეობას იღებდა პეტერბურგის პედაგოგიურ სოციალებობაში და ურნალისტიკაში. 1870 წლ. გასაფხულზე იმდენათ დაუსრულა, რომ გადასწვიტა ხელ-ახლა ევროპაში წასვლა და წავიდა კიდევ, მაგრამ ვენაში პრეფესორებმა უჩინეს დაბრუნებულიყო ვიროში და აქ კუმისით დაეწყო წამლობა. ასეც მოიქცა და მალე კარგადაც გახდა, მაგრამ შემოდგომაზე თავს დიდი უბედურება დაატყდა: შემთხვევით მოუკვდა ჰბუკი შვილი. თითქმის დიდ-ხანს ვეღარ იცოცხლა: დეკემბრის 21 საუღამომო დაღუმდა მისი მეტყველი ენა და გამრჩე მარჯვენა. რუსეთმა დაჰკარკა საკუთარი პედაგოგის მამა და სამაგალითო მოღვაწე და ზნე-მადლი აღმინა!

რას ამცნო მან რუსეთის სოციალებს? რას აზრებს ემსახურებოდა კ. დ. უშინსკი?

\* ვსარგებლობთ მ. პეკოვსკის წიგნით: „К. Д. Ушинский, его жизнь и педагогическая деятельность“.



როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჰხედავს შვიტხველი, კ. უშინ-სკის იმ დროს მოუხდა საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა, როდესაც რუსეთი ცხოვრების ახალ გზაზე გამოვიდა. ეს დრო იყო დრო რეთორებისა და, სხვათა შორის, გლეხების განთავისუფლებისა. ამ ცვლილებას უშინსკი დიდის აღტაცებით მიეგება და მისი-ნათვე აღძრა კითხვა ხალხის განათლების შესახებ. „გლეხების განთავისუფლების „დებულებით“ (Положением) სოფლის ხალხის უფრო-ცხოვრება კი არ გაუკეთეს, არამედ მხოლოდ დაიწყო გაუკეთესობა, დაეღვა სათავე გაუმჯობესებას და სკოლების დაუმხარებლათ, ხალხის გონებრივად და ზნეობრივად აუზრდელათ ეს გაუმჯობესება ვერ წავა წინ ვერც ჩქარა და ვერც რიგანათ“. — სწორდა უშინსკი, მაგრამ ამ დროს ჯერ არ იყო არც სახალხო სკოლა, როგორც ეს ჯერ კვების, არც ამისათვის მომზადებული მასწავლებლები და არც სახელმძღვანელოები. უშინსკი მედგრათ შეუდგა რუსეთში ურთავულ სკოლის შექმნის შესახებ წერას, შეადგინა პროექტი სამასწავლებლო სემინარიის დაარსებისათვის და სახელმძღვანელოები სახალხო სკოლებში სანმარებლათ, როგორც მაგალითად „Родное Слово“ და „Дѣтскій міръ“, რომელიც აქმდის სამაგალითო სახელმძღვანელოთ ითვლება რუსეთის სკოლებისათვის და სხვა და სხვა. უშინსკის აზრით, „საზოგადო აღზრდა უნდა იყოს ეროვნული, რადგანაც უამისოთ აღზრდა უძღურია და, გარდა ამისა, მხოლოდ ეროვნული აღზრდა შეადგენს ცოცხალ ორგანოს ეროვნების განვითარების პროცესში,\*) არის მხოლოდ ერთი საზოგადო, ყველას თან-დაყოფილი მიდრეკილება, რომლის იმედიც უნდა ქმნდეთ აღზრდაში; ეს ისაა, რომ ჩვენ ვიწოდებით ეროვნებათ. როგორათაც არ არის კაცი, რომელსაც თავ-მოყვარება არ ქმნდეს, აგრეთვე ადამიანი არ არის, რომელსაც არ უღვიოდეს გულში სამშობლოს სიყვარული. და აი ეს სიყვარული უზენაეს გზას აღმზრდელს და აძლევს ძლიერ საშუალებას უმწვივლის მავნე მიდრეკილებასთან საბრძოლველად“.

სახალხო სკოლებისათვის კ. უშინსკი თხოულობს სახალხო მასწავლებლებს და ამიტომ ამბობს: „უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ჩვენი ეროვნული აღზრდა საჭიროებს კაცებს, რომელთაც ნიჭი შესწევს ამისთანა დიდი საქმისათვის, — საჭიროებს სახალხო მასწავლებლებს, — სახალხოს იმიტომ კი არა, რომ ხალხს ასწავლის და სახალხო სკოლაშია, არამედ იმიტომ, რომ ხალხიდან გამოვიდნენ, გამოიტანეს ამ ხალხის საუკეთესო და მასთან განსაკუთრებული თვისებანი და მისი უანგარო სიყვარული და განაბრწვიან ეს თვისებანი და ერის სიყვარული ჭეშმარიტად ქრისტიანული, ევროპული განათლებით.“ ეს დიდი ღვაწლი მიუძღვის კ. უშინსკის რუსულ ჰედაგოგიაში, სხვათა შორის იმითი, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება დედა-ენას, მეცნიერულად დასაბუთა მისი დიდი მნიშვნელობა მოზარდობისათვის და მთელი ერისათვის საზოგადო. „ერის ენა — ამბობს დიდებული ჰედაგოგი — საუკეთესო, დაუმჯანარი და მუდამ ხელ-ახლა გამწვლევი ყვავილია მთელი მისი სულიერი ცხოვრებისა, რომლის დაწეობაც ისტორიულ დროს არ ეკუთვნის... ენა არის ყველაზე მძაფრი, ცხოველი და მკვიდრი კავშირი, რომელიც აერთებს წარსულს, აწმუელს და მომავალს... ის არა მარტო ხატავს ხალხის სინცხოველს, არამედ შეადგენს თვით სინცხოველს. როდესაც ქმრება ენა, — მაშინ ქმრება თვით

\*) Только народное воспитание является живымъ органомъ въ историческомъ процессѣ народнаго развитія.

ერც. არ არის იმაზე აუტანელი ძალმოძრეობა, როდესაც ხალხს ართმევენ აუარებელ მოდგმათაგან დატოვებულ საუბრებს — ენას! „გაქტარ ენა — გაქტარ ერც“ და ათავებს ამ სიტყვებით: თუ კი ხან-მოკლე ადამიანის მოკვლით კაცის სული შექრუნდება ხოლმე, მაშ რადს უნდა გრძობდეს ეს სული, როდესაც იღებს მახვილს მრავალ საუკუნის ისტორიულ პიროვნების — ერის, ამ ქვეყნიერობაზე უდიდებულესი ღვთის ქმნილების, მისაკლავათ!...

აი ამიტომაც დედა-ენა მანხია წყაროდ ყოველივე ცოდნისა. ყველა დედა-ენის საშუალებით და არაფერი უდედა-ენათი „ეს საკვირველი ჰედაგოგი — დედა-ენა, არა მარტო ბევრს ასწავლის, არამედ მეტის-მეტ ადვილათაც, რადაც მიუწვდომელად გადავიღებულ მეთოდით“. და აი ამიტომ თხოულობს, რომ სწავლა უნდა წარმოებდეს სამშობლო ენაზე. ეროვნულ ენას მოკლებული, ნიდაც-მოშორებული ადამიანი, შესაბამისია, უსარგებლო წვერის საზოგადოებისა და ერისა.

ასეთ დიდ მნიშვნელობას აძლევს დედა-ენას არა მარტო სახალხო, დაბალ სკოლებში, არამედ საშუალო და მაღალ სასწავლებლებშიაც. „უმათარეს საზნად თანამედროვე კაცის საზოგადო ჰუმანიურ განვითარებაში უნდა იყოს არა კლასიკური ენები, არამედ სამშობლო ენა და ლიტერატურა“ — ამბობს ის. ამ შემთხვევაში უშინსკიმ გამოილასქრა ყველასაგან ცნობილ მეცნიერისა და ჰედაგოგის პირაგოვის წინააღმდეგ, რომელიც ძველი ენების ცოდნას სავალდებულოთ ხდიდა უმაღლესი განათლების მისაღებათ. პირაგოვისებური შეხედულება იმდენათ ძლიერი იყო რუსეთში და მასთან გერმანიაში, რომ უნივერსიტეტის კარები დია იყო მხოლოდ გიმნაზიებში კურს-დამთავრებულთათვის, ხოლო რეალისტებისათვის კი — ერთიანთ დასშულო. უშინსკი წინააღმდეგი იყო გიმნაზიების ასეთი განკარგებისა და თხოულობდა, რეალისტებსაც ისეთივე უფლება ქმნოდათ, როგორც გიმნაზისტებს იმ განსხვავებით-კი, რომ სამედიცინო ფაკულტეტზე შემსვლელს სცოდნოდა მხოლოდ ლათინური და ფილოლოგიურზე — ლათინური და ბერძნული. მაგრამ საზოგადოთ კი უარს უთვალა ძველი ენების მნიშვნელობას საერთოთ ყველასთვის; ის ამბობდა: „ძველი ენების უცოდინროთაც შეიძლება, რომ კაცი დიდათ განვითარებული იყოს“.

უშინსკის მოწოდება აქმდის დარჩა „ხმად მდადაბელებისად უდაბნოსა შინა“, თუმცა ახლა იმედი აქვთ, საშუალო სასწავლებლის პროგრამის გადაზინჯვის დროს, უშინსკის სიტყვას, ამ ომოდის წლის წინათ ისეთის სიძლიერით ნათქვამს, მთავრობა საქმეთ აქტებს; ეს საფიქრებელია მით უმეტეს, რომ რუსეთის საზოგადოების შეცნებული ნაწილი თხოულობს კლასიკების და რეალისტების უფლებების გათანასწორობას უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის დროს. ამ საზოგადო სურვილს დაერთო კიდევ ერთი საიმელო კარემობა: სულ ამ მოკლე-ხანში გერმანიაში, რომელსაც რუსეთი ჰბაძავდა, გაუღო უნივერსიტეტის კარები რეალისტებსაც.

უმაღლეს სასწავლებლების შესახებაც ბევრი სწერა უშინსკიმ, მრავალ მხრივ შეეხა ამ დაწესებულებას პირაგოვთან გამობასკების დროს. (იხ. Педагогическія сочиненія Н. И. Пирагова). აქ მოვიყვანთ უშინსკის აზრს მხოლოდ პროფესორების შესახებ: პროფესორების ჩინოვნიკობა ძირიან-ფესვიანათ უნდა იქმნას ამოგდებული. თუ მართლა კვინდა ჩვენში მეცნიერების განვითარება და უნივერსიტეტების კეთილ-დღეობა, „ჩინებით დასაჩუქრება“ აქ სრულებით უადგოლას: დებერდის ჩინით დაჯილდოებამ არა ერთი კარგი ფროფე-



სორი დაღუპა სამუდამით; профессор долженъ быть поставленъ выше всякихъ чиновныхъ соблазновъ და მეტი ამბობს: ვიდრე ჩვენი უნივერსიტეტის საბჭოები თავისუფალ იურიდიულ ზირთვებად არ იქნებიან ცნობილი, მანამდის ჩვენი უნივერსიტეტები სწორე გზაზე ვერ გაძვლენ.

ზროფესორის ხელ-მძღვანელი და წინამძღოლი უნდა იყოს მხოლოდ ერთად ერთი მეცნიერება და სხვა არაფერი

არ დაუტოვებია უეუზადებოთ არც საკვირაო სკოლა, რომელსაც უშინსკი დიდ მნიშვნელობას აძლევს და საუცხოვო დაბოგებს იძლევა საკვირაო სკოლების მთლიანობა. მთართვის შესახებ, თუმცა იმასაც ამბობს, რომ ეს საქმე ერთი უძნელესი საქმეთაგანია ზედაგოგიაში. სწავლის შესახებ სწერს, რომ საკვირაო სკოლაში ყოველის უზირველესათ მისწავლეს უნდა აუხთოს გულში სურვილი ზნეობრივი და გონებრივი წინმისვლელობისა. მათგინის ამ სურვილის დაკმაყოფილებას და მხოლოდ შემდეგ უნდა მიეცეს წიგნი, დაელოცოს გზა თავისთავათ წინმისვლელობისა და წარმატებისა \*).

ერთი რამ კიდევ უნდა მოვიხსენიოთ დასასრულ. უშინსკი დიდ მნიშვნელობას აძლევდა სახელმძღვანელოს კმაყოფილის გონება-ზნეობის აღზრდის საქმეში და ამიტომ თხოულობდა სახელმძღვანელოს ყოველ-მხრივ და დაწვრილებით განხილვას, რადგანაც მრავალ-მხრივი კრიტიკა სხვას გააფრთხილებს და ააღდენს იმ შეცდომებს, რომელიც ამა თუ იმ სახელმძღვანელოს შემდგენელს მოსვლიათ. ამიტომაც მეტად სასტიკათ ექცეოდა ამ მხრივ როგორც თავის თავს, აგრეთვე სხვებს. საკმარისია კაცმა წაიკითხოს „Письма Московской педагогической на Петербургской почве“, რომ დაწმუნდეს ჩვენი სიტუაციების სინამდვილეში.

უშინსკიმ ზირველმა დაუყენა ზედაგოგია სამეცნიერო ნიადაგზე და უწოდა მეცნიერება-ხელოვნება.

ყველა ზემო ნათქვამს უნდა დაეუმაცოთ, რომ კ. დ. უშინსკი, როგორათაც ადამიანი, შეადგენდა სამაგალითო და იშვიათ მოვლენას. ბუნებითი ნიჭით უხვათ დაჯილდოებული, უსაზღვრო შრომით მოყვარე, თავისი რწმენა შეხედულების თავგანწირული მტკველი, მოზარდი თაობის უსაზღვროთ მოყვარული და მაღალი ზნის მქონე—აი რა თვისების იყო კ. უშინსკი. თუმცა ზოგიერთს ამ თვისებამ ცხოვრებაში ბევრი აწამა, სტანჯა და ბოლოს კიდევ უდროვით დასასამარა, მაგრამ სიცოცხლეში ბევრი საიმოვნებაც აკრძობინა, ხოლო სიკვდილის შემდეგ სამუდამით უკვდა-გვქეო და რუსეთის ზედაგოგიის მამის სახელი მოუხვეჭა. არც ჩვენ უნდა დავივიწყოთ კ. დ. უშინსკი, ის ყველაზე უფრო ძლიერი მოარველია გონიერი სკოლისა და დედა-ენისა.

ი. გ—რი.

მ უ კ ლ მ ნ ი №-ს

ზამოველ გარეთ, ჩვეულებრივ ლუკმას ვეძებდი, იქნება-მეთქი დღეს როგორმე გამეხსნას ბედი, მაგრამ ამაოდ... ჩამოვჯექი სკამზე მდუმარე და უნებურათ თავალებს მისწვდა ცრემლი ზღუდარე! განა სიმშობის, ან სიკვდილის მე შეშინოდა?

\*) Надобно сначала расшевелить умъ и сердце ученика, сообщить ему жажду знанія, жажду нравственной и умственной пищи, приучить его къ этой пищѣ—и потомъ уже развернуть передъ нимъ книгу; благословить его на дальнѣйшій, самостоятельный прогрессъ.

არა, გონება სხვაგან იყო, სხვას იფიქრობდა. მაშინ განვიცადე მეგობრების ცრუ მეგობრობა და გამწარებულს გულიდამ აღმინდა გმობა! მაშინ განვიცადე მეგობრობის არარაობა, შეირყა სული, რა იხილავ თავისი თბილად! ამ დროს შენ მოხველ, მოკრძალებით მომიხსლოვდი უცნობი იყავ, მასთან ქალი და თუმც მოარცხვობდი, მაგრამ ზირველმა გასაცნობათ მომი სელამი, მითხარ: „მგოსანო, მიზეზია შენი კალამი, დღეს წავიკითხე შენი ლექსი და მომეწონა, ვნახე უბედურთ, უღმრთოთ ტანჯულთ ცრემლების კონა, მწარეთ მატონა, თვალზე ცრემლი ჩამოარონა, მათი სვე-ბედი იმათ მოძმეს გულს განმეწონა“. მაგე განმშობრდი, მაგრამ გულს სხვა რადა უნდოდა? რას იმედითა აფრთხვანდა, კვლავთ ათრთოლდა! რა ვივიწყებ მე იმ წუთსა, დაგ-მეგობრობა, თუმც თავას მოჭყარდი, მაგრამ გულსა არ ავიწყლები! და როცა ისევ მარტო-მარტო დავიარები, უთანაკრძობობა, უმეგობრობა ბედს ვემდურები, რომ არ გამიქრეს მთლათ იმედი და სასოება, გიგონებ და მუის გული იმედს კვლავ უბრუნდება! დეე ვერ ნახოს მეგობარი მდღელიდამ მეკავამა, დეე ცხოვრებამ გადაითელას, ჩამოქას საფლავამა, მაინც იმედის ნაზერწკალი არ გამიქრება, თუ ჩემი ჩანგი, ვისაც უკვწესს, მის გულს მისწვდება.

ი. ველოშვილი.

„ნაზღერტელა“

ძმარ რიგოლეტო!

ოს ჩვენი აკატებული 1900 წელი გაცოცხლებულა, ჩვენი რკინის-გზისათვის დაწყლებული ჰარავოზი უთხოვნია, ჩვენ დანტისტებისათვის ბებერი კბილები დაუცვლებინებია და ეხლა ჩუმ-ჩუმათ დაიბარება. გაფრთხილდით, მგონი, მანდეთ წამოსულაო! —მწერს ერთი ჩემი მეგობარი. მე-კი არ ვიცოდი, რომ იგრე იქნებოდა! აბა რა მოსვენებდა იმ ბებრუხანას საფლავში. ვაიმე ალერსო და ანდერძო დაკარგულა, ვაიმე ფლავო და კოლიოვ, მუქათათ დაფანტულა! რამოდენა ხარჯი გავწიეთ, რამოდენა თოფები ვისროლეთ და ეს სულ ამარდ, ამარდ დიანს, ამარდ. თურმე თავი მოუკატუნებია იმ ბებერ მელასს, თვალები დაუხუჭნია, ვითომ გვცვდებო, და აგერ ეხლა ისევ მიგვერთო. ესეც ახალი ხარჯი. რიო შევავსოთ ეს ახალი გასავალი? რას დავადვით ბაჟი? აქლემი ჩვენ აღარა გვყავს და ლოთობით კიდევ რვერთი უნდა ვილოთოთ, რომ

რაც ქვეყნათ არაყია, ერთბაშათ გამოვცალოთ და მერე ჩვენ პროსპექტზე პოდრუჩით ვიცანცაროთ.

არა, თუნდა გამოვცალოთ კიდევ, თუნდა ერთი კიქა ერთი მინანთული დავგიჯდეს, მერე აქ ლიხუნჩანგი რა შუაშია, რომ ერთ ჩემ მეგობარს წარსული

წლის „სიხოტი“ გაუკეთებია და მიურომეფია იმ ჩინეთის ბისმარკისთვის! „რაც ზედ-მეტი დაძვარჯა არაყში, თუ-თუნში და სხვა-და-სხვა კუჭისათვის უსაჭიროეს ხორა-გეულობაში, შენ გადაიხადე.“ რეერთს იცინებს ლიხუნ-ჩანგი, როცა ისა და ვალდერზე ხელი-ხელ გადახვეუ-ლნი პეკინის ნანგრევებზე ნადიმს გამართავენ! „როგორ ბრძანდება მისი უმუხრუნუტესობა, სურნელებითა პილ-პილოვანი და ჰაეროვნებითა თოფ-ზარბაზნოვანი ჩვენი ფი-ფუ-თფუ ბ-ნი ვალდერზე“ მოიკითხავს ლიხუ (,სი-ტყვა შემოკლებული--ბ-ნ აღნიაშვილის ლექსიკონით) კარგითა გუნებითა გახლავართ, რამეთუ ერთსა გერმა-ნელისა თავში მივითვალემრავალი ჩინელი თავიო“—მი-უგებს ვალდერზე და მერე, მერე, ეპ, რაღა მერე, აკი ვთქვი, ის წყეული გაცოცხლებულა მეთქი. რა უნდოდა ცოტა კიდემპოლიტიკოსნა... არა, შემოყო თავისი ქაჩა-ლი გოგრა და შემოიჩიზიზა „როგორა ბჯანდები, ბა-ტონო რიგოლცტო“. კარგათ გახლავართ, პაპ ჩემო, მი-ბძანდით, მობძანდით, აი აქ დაბრძანდით“ და მივუთითე გამობრულ ღორის თავზე „რომ ეგები ამ ტა-ბლამ გაახსენოს თავისი ქეღეხი-მეთქი. ვაი, ვაი, სა-ფლაგშიაც აღარ მაყენებენ მოსვენებითო“ დაიხვნეშა ბებერმა. მოიხსნა ერთი დიდი ყუთი ზურგიდან და დაე-შვა სავარძელზე. ეს რა არის, პაპილო, ჰა? შევეკითხე მე და მივუთითე ყუთზე. — ძველი ცოდვები, შვილო, ძველი! სწორეთ ამან აღარ დამაყენა საფლაგში, შე დალოცვი-ლო, ახალ წლის ღამეს რამ დაპროწილობდი ცოცხით და მოედე ღობე-ყურეს, ერთი ამ ყუთსაც წამოჰკრავდი ხელს და მომაგდებინებდი კუზიღამო. ეპე, გამიჩნდა სა-კბილო-მეთქი ვიფიქრე, ბებრუხანას კამფეტის ნაფცქვე-ნები მივუყარე, ეგები გამორჩე რასმე-მეთქი და მეკი მო-ვუჯექე ყუთს. გადავატრალე გასადები, ავხადე თავი და იხაროს თქვენმა პატრიოტმა გულმა, როგორც მე ვარ-დივით გული გადამეშალა: „ნაბღერტელა“ — წავიკითხე ერთ დიდ პაკეტზე და გადმოვაქოთე იქაურობა. ღმერ-თო ჩემო, რა არა ვნახე შიგ. თელაველი ქალების, „რას ვაკეთებთ“ ხომ გახსოვთ? „ერთი თელაველი ქალი“ „ცნობას ფურცელში“ რომ გვაცნობებდა თუ რაოდენ ქალებს გვინათლებენ. და რადგანაც სულთ აღწერის სია კი გვიჩვენებს, რომ მდებრობითი სქესი იმდენი არ არის თელავში, რამდენსაც ის ქალი იწერება, იმიტომ მის ოც-ნებას უბღარტნია და ყოველ თელაველ ყმაწვილებისა-თვისაც კაბა ჩაუცმევინებია. ღირსნი არ არიან, თუ! ვნახე კიდევ მოგზაური მამა იაშვილი. აი ის იაშვილი, რომელსაც ყველგან ტურები დაუხვდენ, საცა მივიდა, და ხმა მისი სკოლების გახსნის შესახებ დაიფარა ტურე-ბის ყმუილში. ვერაფერი მონადირეები ყოფილან კახე-ლები, რომ მათ სოფელს ტურები და ტურაშვილები და-ჰპატრონებია. კიდევ ვნახე, მაგრამ რასა ვნახავდი, რაც არ იყო. მაგრამ მაინც ვნახე და ვნახე „არაფერი“ ე. ი. ვნახე მსხანანის ბიბლიოთეკა, იგი გვებღრუნათ, გვეწე-წნათ და ასე ჩეგდოთ ცოდვის ყუთში. მაგრამ ლეში თუ დაიკარვა, ნადირები ხომ იგრევე ცოცხლები არიან და ჯერ ბუმბულიც იგრევე კბილებში ატანიათ. დიახ, ბატონებო, ათი წლის განმავლობაში ქიზიყელები ემზა-დებოდნენ სახელებს იწევდნენ და ჩოხას იკალთავებდენ წიგნები უნდა ვიკითხოთო. იკითხეთ, იკითხეთ, კამბეჩო-

ვნელებო, მხოლოდ წიგნები კი არა, არამედ ის ბაჯადლო-რომელიც ჯიბეში ჩაიხჩიალეს თქვენმა ქირისუფლებმა და, რომ კვალი გამქრალიყო, წიგნები მიუყარეს ვირთა-გვებს ერთ სარდაფში. ამას შემდგომ ვნახე კიდევ, მაგ-რამ, რაცა ვნახე და გავიგონე, ყველას ხომ ერთბაშათ ვერ ამოვაწყობ. ამიტომ დავსდებ საცოს პირსა ჩემსა, ვიდრე-ოდენ კალენდარი მომავალ კვირას არ წამა-წყვეტავს და მაშინ კი უფრო დალაგებით ამოყალაგებ ნახულსაც და გაგონილსაც.

რიგოლცტო

### ჩვენი სახიობა.

„დავა“—კ. ნ მ. გ. ერისთავისა. „სამზადისი“. სცენე-ბი. პ. უმიკაშვილისა.

თუმცა „აღლუმმა“ ახალ-წლის წინა ღამეს დამსწ-რე საზოგადოება ასიამოვნა და არტისტებსაც აქამდის ცოტაოდნათ გატეხილი სახელი გაუკეთდათ, მაგრამ საიუბილეო წარმოდგენამ 2-ს იანვარს უფრო მხიარუ-ლათ და ლაზათიანათ ჩაიარა: არტისტები კი გუნება-ზე იყვენ თითქოს და ამიტომ გატაცებით თამაშობდნენ. კი გუნების მიზეზი კი ჯერ ერთი ახალ-წელიწადი იყო, მეორეთ—თეატრის ხალხით გავსება. განსაკუთრე-ბული ყურადღება მიიქცია იმ ღამეს ვ. აბაშიძემ სარ-ქისას როლის თამაშობით.—მან არა მარტო გვაჩვენა ეს წურბელა „არზის მწერალი“, არამედ განახორციე-ლა. მაყურებელს ეგონა, აბაშიძეს კი არა, ცოცხალ სარქისას ვხედავ თავის ოინებში და დამტკრეულის რუსუ-ლითაო. სანამეტნაოდ მარილიანათ შესაფერის კომიზმით ჩაატარეს სამთავემ (აბაშიძემ, მესხმა და გედევანოვმა) სცე-ნასტრიაპჩისთან, სადაც სარქისა თარჯიმანი ბძანდება. ეს სცენა კაცს თითონ უნდა ვნახა, რომ ღირსეულათ დაეფასებინა და სიამოვნებით ეცინა,—აკი დამსწრე სა-ზოგადოებამ გემრიელათაც იცინა და ისიამოვნა. და-ნარჩენებიც კარგნი იყვნენ, ყველა ცდილიყო ამ წარ-მოდგენის გამშვენებებს. კარგი იყო კ. მესხი იმერელ-თავადიშვილის როლში. გამყრელიძე—ონოფრესაში და გაბუნია-ცაგარლისა — გამზდელისაში. გედევანოვი ნამდვი-ლი სტრიაპჩი იყო, მხოლოდ ბეგლარი მესამე მოქმე-დებაში ვერა ჰგვანდა გაზაფხულის სიმშვენეირით აღტა-ცებულს და გრძნობიერს პოეტს. თავის ექსპრომტს ისე ამბობდა, თითქოს სხვისაა და ვერ დაუსწავლიაო, მერე იმისთანა მშვენეირ ლექსს, როგორც არის: „კიდევ მოხვედი, გაზაფხულო, ჩვენო სტუმარო“. მაგ-რამ ამაში დამნაშავე, მგონი, ბეგლარ იმდენათ არ არის, რამდენათაც მისი სულის ჩამდგმელი... სვიმონი-ძე...

„დავის“ შემდეგ დადგეს „სამზადისი“, საკმაოთ უმზადისი. აქაო და ყოველ წელს ვთამაშობთ და კი-დევი ვითამაშებთო, რის გამოც ბოლოს თავის-თავათ და-ვისწავლით როლებსო, ამ დღისთვის როლის მომზადე-ბა უსარგებლო სამზადისი იქნებაო. ჩვენ როლები სა-ახალ-წლო იუბილეისთვის კარგათ გვეცოდინებო; მე-ტადრე საფაროვმა ისახელა თავი ამ აზრის დამტკიცე-ბაში. მაგრამ ასი წლის იუბილეისთვის არა მგონია, ეს

„აზრიანი“... მოთამაშე შეიძლებადეს სამზადისისთვის სამზადისს. — ამისდა მიუხედავად პიესამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო თავის მნიშვნელოვანის შინაარსით. კარგი იყო კ. მესხი თვით გიორგის როლში, ძალიანაც ჰგვანდა. პლატონ იოსელიანი ჩინებულათ არის დახასიათებული პიესაში ორიოდ სატყვიით და კანდელაკმა პირ-ნათლათ გადმოგვცა მისი ხასიათი; იგივე ითქმის გამყრელიძის თამაშობაზედ რევაზის როლში. დანარჩენებსაც თამაშობია, არა უშავდათ-რა. აღამიძეს მესტვირული ეხერხება, მაგრამ მესტვირის ტკბილი და შეპარებული ხმა არა აქვს, უფრო ყვიროდა, ვიდრე მღეროდა. სამაგიეროთ გამეორებითი ლექსი ჩინებული სახალ-წლო მისალოცი იყო ჩვენი ქალებისათვის.

ბოლოს, ვორონცოვის გამოხვლა და მის გარშემო გაჩირაღდება საუცხოვო იყო; ბ. ლანდრატს ნამდვილი ვორონცოვის სახე ჰქონდა. ამ ქართველთა მეცენატის სახელი მართლაც უკვდავ იქნება ქართველთა შორის.

სახალხო თეატრი. წარსულ წელს, 27 დეკემბერს ავქალის ქუჩაზე სახალხო აუდიტორიაში წარმოდგენილ იქმნა ერკმან-შატრიანის „მტერ-მოყვარე ძმები“, კომ. 4 მოქ. თარგ, ა. ცაგარლისა: წარმოდგენამ ვერ ჩაიარა სასურველათ, მსახიობთ ეტყობოდათ როლის უცოდინრობა, მოუმზადებლობა და ურეპეტიციობა. ამ საქმის გამგეთ და აგრეთვე თვით მოთამაშეთაც ვურჩევთ, მეტი ყურადღება მიაქციონ პიესის შესწავლას და ხშირ რეპეტიციებს. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო ასე, რომ ბილეთები სულ გაიყიდა. თუმცა ხალხმა კარგა ხანი უცადა ფარდის ახდას, მაინც დიდს გულ-მოდგინებით უგდებდა ყურს პიესის შინაარსს.

მ. იანვარს ამ წლისას იქვე წარმოდგინეს „ციმბირელი“ კომ. 4 მ. ა. ცაგარლისა. ეს წარმოდგენა საყურადღებო იმით იყო, რომ მონაწილეობას იღებდნენ სულ სხვა პირნი, ორიოდეს გარდა, ვიდრე აქამდის იღებდნენ, და მათ შორის ჩვენი პატივცემული დრამატურგიც ა. ცაგარელი მახუთიანის როლში. ეტყობოდათ ყველას, რომ ცდილიყვნენ, როლები ესწავლათ, თავისუფლათაც ექირათ თავი სცენაზე, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ თითქმის ყველანი დაბალის ხმით ლაპარაკობდნენ. რაც გავიგონეთ და ვნახეთ. იქიდან დავრწმუნდით, რომ ცაგარელი რიგიანათ თამაშობდა მახუთიანს, თუმცა მეტს მოველოდით. ციმბირელს მარტო გრიშა და ჩაცმულობა ჰქონდა ციმბირელისა, ქლესოვი კი რაღაც დრამატიულ როლათ აქცია მისმა მოთამაშემ. მშვენიერი იყო გოციირიძე სტეფანეს როლში. კარგები იყვენ პეტუა და მაშიკო, თუმცა უკეთესათ შეიძლებაოდა ეთამაშათ. ნიკოლას არა უჭირდა რა. დანარჩენნი-კო, მკრთალები იყვენ. საზოგადოთ წარმოდგენას ეტყობოდა ხელმძღვანელი არ ჰყოლია. აუდიტორია ხალხით სავსე იყო.

რადამისტო.

ინტელიგენტი ცხვირი.

კიკმაკურიძეს დღეს არა ჩვეულებრივ დილა ადრიან გამოეღვიძა. გამოეღვიძა, მაგრამ ის ოდნავაც არ შერხეულა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ, თუან გვერდზე ან პირქვე

გადაბრუნებულიყო დედა-მიწა ასცდებოდა თავის ღერძს და ეს ღერძი კი იყო იმისი ცხვირი. დიად, კიკმაკურიძის ცხვირი! იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთ პოლიუსამდე გაბნეოდა ხმელეთს და დღეს მთელი კაცობრიობის სვე-ბედი ეკიდა მხოლოთ მის ნისკარტზე.


ხე, ხე, ხე, დინჯათ ჩაახველა კიკმაკურიძემ, ღიმილით გადახედა დედა-მიწაზე მცხოვრებ კაცუნებს და თვალები ნახევრათ მილულა. ისა ფაქრობდა რომელი „მიდრეკილება“ მიეცა ხმელეთისათვის... მაგრამ ამ დროს ცხვირი აღმოსავლეთისაკენ გადინარა და დედა-მიწაც, რასაკვირველია, გადაჰყვა მას. „უნდა მოვფინო სითბო გაყინულ კაცობრიობას, უნდა გავალხვოის წერტილი, რომელზედაც მიკრულია იგი ფეხებით“ — სთქვა მან და გაბერა ნესტოები, რომ ტვირთი ცოტა ზევით აეწია მისმა მორჩილმა ხმელეთმა და ოკეანემაც გატრუნეს სული და გაჰყვნენ იმ ხაზს, რომელიც ცხვირმა ვარსკვლავებისკენ გააბა „მიყვარს, როდესაც ემორჩილებიან განგებისაგან მოვლენილ ღმერთი — კაცს, დღეს მე დედა — მიწა დაუუახლოვე მხეს 10001 რადიუსით, მაშასადამე კაცობრიობა გათბა 2000 გრადუსით. მაგრამ მზის დაბნელება თუ მოხდა, რაც მოსალოდნელია მეოცე საუკუნის კალენდარით, თუ მე პირქვე გადავბრუნდი, მაშინ დედა-მიწას მიეცემა ზარალი პლუტონის ანგარიშით 30003 უნცი ჩემი მოწყალებისა. ამიტომ კაცობრიობის მოვალეობას შეადგენს რომ მე პირქვე არ გადავბრუნდე და კუჭი არ მომეშალოს. ხოლო თუ პირადმა ვწევარ, მაშინ საქიროა ჩემთვის ერბო-კვერცხი, რომელიც მე უნდა მიმზადოს მთელმა სამყარომ, ეს მის წმიდათა წმიდა და აუცილებელ მოვალეობას შეადგენს.

დიახ პატივი! ჩემ კაცობრიობისათვის ტანჯულ ცხვირს უნდა პატივი! დეე, ვარსკვლავებიდან დაწნან გვირგვინი, მთვარე ჯილათ გაუკეთონ და ვენერას ხელით წააწერონ ზედ: „ჩვენს მეუფეს ქვეყნისათვის წამებულს ბ-ნ ცხვირს“, წააწერონ და ძრწოლითა და ბობლნით მომართვან მე, მე რომელიც ასე ვიტანჯები სამყაროსათვის.

გუშინ ერთმა კაცუნამ წკიპურტი წამკრა ნესტოში. ბრიყვს, არ ეშინოდა შექანებულიყო დედა-მიწა! ვინც რა უნდა თქვას, მე ასე გულაღმა უნდა ვიწვე, მე ერთი წუთითაც ვერ მოვაშორებ თვალს ამ იატაკს, რომელზედაც ქვეყნის ბედ-იღბალი იბეჭდება.

დღეს ჩემი მეგობარი ანწლა-კანწლა შემოვიდა ჩემთან და შირჩია ჰაეროსტატით მეგზაურებინა ცხვირი. დეე დედა-მიწამ მოიყაროს ქვეიდან შენ წინ მეტანილა. ეს კარგი აზრი მოსვლია ჩემს მეგობარს თავის ქალას შიგნით შესანიშნავ ტვინში, მაგრამ ჩემი ცხვირის ჰაეროსტატი მიდის მხოლოთ სამს კალომეტრზე და თუ მთვარიდან ჰაერის გემს მომაგებებენ, მაშინ ცხვირს „ბაკაქით“ გავგზავნი, ხოლო მე კი პირველი კლასით წავალ. მოგზაურობის ხარჯი უნდა ჩაიწეროს მეოცე საუკუნის გასავალში. მე უნდა მოვშინჯო მაღლა ჰაერში ადგილი დედა-მიწისათვის, შემდეგ მას თვითონ ჩავსვამ ჰაეროსტატში და გავაქანებ მაღლა-მაღლა: აი ეს არის მიზანი ჩემი ინტელიგენტი ცხვირისა და ეს უნდა შევავნებინოთ სამყაროს.

კედლების გარეთ რაღაც ჩოჩქოლი ისმის. სჩანს, ჩემი დიდებული აზრი უკვე გადაეცა ხმელეთს. საბრალო



კაცუნები. მე მათ გადავაფარებ ჩემ მოწყალე ცხვირს. ფანჯარადან.“ — მართლაც ძირს ქუჩას გადმოადგა ერთი უშველვებელი ჩრდილი კიკმაკურჩიძის ცხვირისა; ის გაიბერა, ნესტოები დაჭიმა და ის კი იყო უნდა წარმოეთქვა „რეჩი“ კაცობრიობის საყურადღებოთ, რომ ამ დროს ერთი დიდი ფურახი შიგ ნისკარტში მიეხალა. ერთმა გამურულმა „ლამპოვიკმა“ შეაგინა იგი. მან შეურაცხველი კიკმაკურჩიძის ცხვირი და მასთან ერთათ ხმელეთის ღერძი. იმ უგუნურს, ასე ჰგონებოდა ქუჩის ფარანი აკომლებულაო და თურმე კიკმაკურჩიძის „სარეჩოთ“ დამზადებული ცხვირი კი ყოფილიყო.

ი. ევდოშვილი.

1901 წლის სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვა

რუსეთის ფინანსთა მინისტრმა პირველ იანვარს უკვე წარუდგინა მის იმპერატორებითი უდიდებულესობას უკვე შევრდომილესი მოხსენება სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვისა 1901 წლისათვის. შინაარსი ამ მოხსენებისა ტელეგრაფამ გვაუწყა, საიდანაც მოვიყვანთ შემდეგს:

ჩვეულებრივი და არა-ჩვეულებრივი შემოსავალი ნაანგარიშეგია 1,788,482,056 მ. ამაში: ჩვეულებრივი შემოსავალი პირდაპირი გადასახადისაგან—127.172,609 მ., არა-პირდაპირი გადასახადისაგან (აქციზი და სხ.)—652,310,800 მან. ხაზინის ქონებისა და თანხისაგან—465,335,362 მ., სახელმწიფო უძრავ-ქონებისაგან—573,291; ბაჟისაგან—88,916,724 მ. და სხ. არა ჩვეულებრივ შემოსავალშია სახელმწიფო ბანკში სამუდამოთ შეტანილი—1,500,000 და ხაზინის თავისუფალი ნაღდი ფული—56,686,000 მ. ამ ციფრებს თუ შევადარებთ 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვასთან, დავინახავთ, რომ წლევანდელი შემოსავალი მომატებულია ორას მლიონზე მეტით. (1899 წ. იყო ნაანგარიშევი 1,571,732,646 მ.) მომატებულია პირდაპირი და არა პირდაპირი გარდასახადები. მაგ. 1899 წ. პირველი შეიცავდა 113,554,631 მ. ხოლო მეორე—591,774,700 მ.

გასავალი ნაანგარიშეგია 1,788,482,056 მ. ამაში: სახელმწიფო ვალის გადასახდელათ 274,909,743 მ. (1899 წ. იყო 270,238,086 მ.), სახელმწიფოს უმაღლესი დაწესებულებისათვის—3,155,401 მ. (1899 წ. 2,880,621 მ.); უწმიდეს სინოდის უწყება—23,783,809 მ. (1899 წ. 21,199,144 მ.); გარეშე საქმეთა სამინისტრო—5,289,674 მ. (5,314,556 მ.), სამხედრო სამინისტრო—324,824,871 (323,791,710 მ.), საზღვაო—93,597,566 მ. (83,065,000 მ.), ფინანსთა სამინისტრო—305,833,826 მ. (233,381,888 მ.); შინაგან საქმეთა სამინისტრო—87 650,199 (82,145,703 მ.); საერო განათლებაზე—33,076,518 მ. (28,761,171 მ.); გზათა სამინისტრო—385,143,459 (288,074,712 მ.) და სხ. და სხ.

არა ჩვეულებრივ გასავალში ნაანგარიშეგია განსაკუთრებით რკინის-გზის გასაყვანი ხარჯები, მაგ. ციმბირის რკინის გზის გასაყვანათ —7277,969 მ., სხვა რკინის გზების გაკეთება—31,974,050 მ. და სხ. ჩვეულებრივი შემოსავალი ჩვეულებრივ ხარჯს აღემატება 73,443,450 მ.

გარდა ამისა, მოხსენება აღნიშნავს იმ დიდ ხარჯს,

რომელიც ჩინეთის ამბებმა გამოიწვია. ეს ხარჯი უდრის 61, მილიონ მ. ასეთივე დიდი ხარჯები დააწვესა ზღვაო უწყებას, მაგრამ საერთო ხარალი ჯერ არ არის ნაანგარიშევი, ვიცით მხოლოდ, რომ ეს ხარალი ერთობ დიდიაო.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა,

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნაუბარბიანი ბაჟებით

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს, გაზარტოვანი ვაგული ფორმატით ერთიდან სამ თაბახამდე.

რედაქციისთვის: რადგანაც სახლ-წლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე სახლ პირბებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გასეთის სივრცით გაფართოება, ახალი მუდმივი განყოფილებების შემადგება და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით.

ვაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მანეთათ, თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერისამ შაურათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-ანაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, საპიერნის ქუჩა, № 15, ალექსანდროვის ბაღის ახლოს.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; კიათურაში კარბ მოღებამდესთან და ყვირილაში ივანე არღიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

ЖУРНАЛЪ ДЛЯ ВСѢХЪ,

ежемѣсячный, иллюстрированный, литературный и научно-популярный.

Подписная пѣна одинъ рубль въ годъ съ доставкой и пересылкой.

Въ первомъ номерѣ 1901 года, между прочимъ, будутъ помѣщены рассказы: *Максима Горькаго*, „Пѣсня о слѣпыхъ“.—*В. Бересаева*, „Къ слѣху“.—*Н. Тимовскаго*, „Двѣ семьи“.—*Н. Телешова*, „Хлѣбъ-соль“ и др. Статьи: *Г. Н. потанина*, „Объ Уральскомъ казачествѣ“.—*Проф. В. О. Ключевскаго*, „Петръ среди своихъ сотрудниковъ.“—*Проф. Н. А. Каблукова*, „Раздѣленіе труда, какъ основа единенія“.—*Проф. В. М. Шимкевича*, „Симбіозъ“ и др.

Подписка принимается: въ конторѣ редакціи. *С.-Петербургъ*, Спасская, 26; *въ Москвѣ*: въ конторѣ Печковской и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ, при чемъ подписывающіеся не въ конторѣ редакціи, на пересылку денегъ въ редакцію должны уплачивать особо (обыкновенно 15 к. на подписной рубль), такъ какъ редакція никакой скидки съ рубля магазинамъ и комиссіонерамъ дѣлать не можетъ.